პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

29 ნოემბერი
სამშაბათი

1919. პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა კომუნისტ მუსულმანებისა მოსკოვში.

1918. ინგლისში ჯარის კაცებს პარლამენტის არჩევნების მონაწილეობის უფლება ჩამოართვეს.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კროპოტკინის ქ., № 4. რედაქტორი იღებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

№ 223 სამშაბათი, 29 ნოემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 29 ნოემბერი, 192 წ. № 223

ამიერ-კავკასიის საოლქო პარტიული თათბირი

რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო 1921 წ. 5 დეკემბრისათვის იწვევს ქალ. თბილისში პარტიული ორგანიზაციების ამიერ კავკასიის საოლქო თათბირს.

ამ თათბირის დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია.
2. პარტიის შემამოწმებელ კავკასიის საოლქო კომისიის მოხსენება.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. დრო და დღისწესრიგი ამიერ კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების მომავალ ყრილობისათვის.

თათბირზე მოწვეულია წარმომადგენლები ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიის ყველა ცენტრალური კომიტეტები, წითელი არმია, რ. კ. პ. ც. კ. კავბიურო, ამიერ კავკასიის რკინის გზელთა პროფსაბჭო, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პროფსაბჭოები, წარმომადგენლები ოლქებისა: ნახიჩევანისა, აბხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ზანგეზურის; წარმომადგენლები შემდეგი ქალაქების პარტიულ ორგანიზაციებისა: თბილისი, ბაქო, ერივანი, ბათომი, განჯა, ქუთაისი, ალექსანდროპოლი, შუშა, ლენქორანი, შემახა, ზაქათალა, ფოთი, ხაშური, ოზურგეთი, ლეჩხუმი, თელავი, ტყიბული, ჭიათურა.

რ. კ. პ. ც. კ.-ის კავბიუროს მდივანი ნაზარეტიანი.

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს შენობაში (მუშათა სასახლე) შესდგება

ს. კ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 საერთო საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.
2. თბილისის კომიტეტის ანგარიში და პარტიული აღმშენებლობის უახლოესი ამოცანები.
3. თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნები.
4. თბილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები,
5. სხვა და სხვა საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა: 10 წევრიდან ერთი დელეგატი.

წითელ არმიიდან: კ. ც. არმიის პ. მმართველობა გზავნის 15 დელეგატს გადამწყვეტი ხმის უფლებით; საქართველოს წითელი არმიის პოლიტგანი—5 კაცს, კომ. ახ. კავშირის ც. კ. და თბ. კ.—5 დელეგატს.

თბილისის კომიტეტის ბიურო

თბილისის მუშათა და გლეხთა საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მოთავსებულია მუშათა სასახლეში (პირველი სართული, შრომის კომისარიატის ყოფილი ბინა).

ყოველ გვარ ცნობების მიღება შეიძლება საღამოს 4—7 საათამდი. ტელეფონი № 15—18.

კომისიის მდივანი: ყურულაშვილი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ოთხშაბათს, 30 ნოემბერს დილის 12 საათზე თბ. კომიტეტის ბინაზე შესდგება სხდომა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის საგარნიზონო, რაიონულ და კავშირებთან არსებულ კომისიებთან ერთად.

კომისიებმა უნდა წარმოადგინონ სწორი ცნობები ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ რაიონსა, კავშირსა და არმიაში.

კომისიის მდივანი ყურულაშვილი.

საბჭოთა სომხეთში

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი სომხეთში საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების შემდეგ. მუსავატელთა აზერბეიჯანის შემდეგ კიდევ ერთი სიმაგრე გამოეცალა ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციას და ანტანტის იმპერიალისტურ რეაქციას. დაშნაკელთა საშუალებით ამ უკანასკნელის დროებით სათამაშოთ გამხდარმა სომხეთის მშრომელმა მასამ კომუნისტური პარტიის მეთაურობით წარსული წლის ნოემბრის 29-ს ძირს დაანარცხა ხალხის ბედ-იღბლით მოვაჭრე პარტიის ბატონობა და აღმართა დროშა საბჭოთა ძალა-უფლების. ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ჩააბარა რა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე პროლეტარიატს და ღარიბ გლეხკაცობას, დასაწყისი მისცა ერთა შორის ძმურ კავშირსა და სოლიდარობას, [illegible] ამ ერების მშრომელი მასების ინტერესთა ერთიან ბაზე. ეს მომასწავებელი უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიაშიც ბურჟუაზიის ბატონობის განადგურებისა და ერთა შორის ტრადიციული შუღლი-მტრობის დასამარების, რომლის მტრობაც უხვათ ჰკვებავდა და ამაგრებდა ამ ბატონობას. სოციალიზმის ნიღაბ ქვეშ მოქმედმა პარტიებმა: საქართველოში—მენშევიკებმა, სომხეთში—დაშნაკელებმა, აზერბეიჯანის მუსავატელებთან ერთად, მოსწყვიტეს ამიერ-კავკასია სოციალისტური რევოლიუციის ძლევა მოსილი მსვლელობის გზას, გახადეს ის ბურჟუაზიის დასაცავ სიმაგრეთ და ამით სიცოცხლის ახალი სული შთაბერეს მებრძოლ ნაციონალიზმს, რომელმაც ამიერ-კავკასიის ცალკე ნაციონალურ ერთეულებათ დაყოფაში და დაქუცმაცებაში ჰპოვა თავის სოციალური სტიქიის პოლიტიკური გამოხატულება და ახალი ენერგია ყველა იმ უპირატესობებით, რომელსაც მას აძლევდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამიერ-კავკასია შეიქნა, კიდევ უფრო, ვინემ წინეთ, ერთა შორის შუღლის შემოხლის და ქიშპობის კერათ. ეს ხანა აღნიშნულია ძმათა შორის სისხლის ღვრით, ერთა შორის ტრადიციულათ არსებულ უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავებით და მით მოხერხებული მტაცებლური იმპერიალისტური კოალიციისათვის საჯიჯგნათ გადაქცევით. ეროვნულ ბურჟუაზიული ანტაგონიზმის გამწვავება, წინააღმდეგობათა მოხერხებულათ გამოყენება სხვა და სხვა უპირატესობათა მისაღებათ თითო ერთეულების შიგნით, ხოლო ერთათ აღებული ყველა მათი საშუალებათა გამოყენება თავის ბატონობის გასაძლიერებლათ აღმოსავლეთში და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ—ასეთი იყო პრაქტიკული პროგრამა გარეშე ძალის, რომელიც შემოიჭრა ამიერ კავკასიაში. თითქმის სამი წელიწადი გაგრძელდა შინაური და გარეშე რეაქციის ეს თარეში. აზერბეიჯანში მუსავატელების დამხობამ პირველათ შეარყია შეხმატკბილებული კონტრ-რევოლიუცია. შვიდი თვის შემდეგ საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ სომხეთში ერთი უკანასკნელთაგანი დასაყრდენობი გამოაცალა შავი ძალების თარეშს და ამ დღიდან უკვე გადაწყდა ბედიღბალი თვით იმ „ოაზისის“, რომელსაც ბატონობდნენ ქართველი მენშევიკები. ერთმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, დაეცა უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ამიერ კავკასიის კონტრრევოლიუციის და საბჭოთა წითელი დროშა ფრიალებს დღეს მთელ ამიერ კავკასიაში. ჩვენი სომეხ ამხანაგების დღესასწაული საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადების ერთი წლის თავზე ხვდება იმ მომენტს, როდესაც ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სწარმოებს წინასწარი მუშაობა მათ შორის ფედერატიული კავშირის შესაქმნელად და ამ გზით მთელი ძალების შესაერთებლათ გარეშე და შინაურ სიძნელეთა დასაძლევათ. ამიერ კავკასიის განთავისუფლებული შემბორკავ ძალების გავლენისაგან, იმ ძალებს რომლებმაც მოსწყვიტეს ისინი უდიდესი რევოლიუციის გმირულ მატარებელს, რუსეთის პროლეტარიატს, ფედერატიულათ შეკავშირებული ამხანაგურათ ხელს გაუწვდის მას საბრძოლველათ ოდესღაც მუხანათურათ გარღვეულ, ხოლო დღეს საბოლოოთ გაერთიანებულ ფრონტზე.

ფედერაცია

(კავბიუროს რეზოლიუციის გამო)

13 ნოემბერს სრულიათ მოულოდნელათ „გავარდა ხმა“ თბილისში „ფედერაცია გამოაცხადესო“! თითქო ყუმბარა გადმოისროლეს მტრის ბანაკიდან და ქალაქის შუაგულს დაეცა! ატყდა განგაში და გულგახეთქილი ქართველი ინტელიგენტი ქუჩაში მივალს მაჩერებდა და გაოცებული მეკითხებოდა: „ნუ თუ მართლა გამოაცხადეს „ფედერაციაო“? ნუ თუ ეს ფაქტია და სინამდვილის წინაშე ვდგევართო“?

რა მოხდა, რამ შეაკრთო ასე ეს „ხალხი“ და რატომ არის ბევრისთვის ასე საშინელი ეს ფედერაცია ან რას წარმოადგენს ის ისტორიულათ, კლასობრივათ, სოციალურათ და სხვა და სხვ ?...

ფედერაცია, ეს—სახელმწიფოს ერთ-ერთი ფორმაა, სახელმწიფოშენების ერთ-ერთი სისტემაა. ძველმა ქვეყანამ ის არ იცოდა, ის ნაყოფია მხოლოთ ახალი ქვეყნის სოციალური შემოქმედების.

მაგრამ ახალი ქვეყანაც ხომ უკვე მობერდა და უკვე გაჩნდა სულ ახალი ქვეყანა რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ეწოდება და აი ახლა კითხვა წარმოსდგა: ეკუება, თუ არა, ახალი ქვეყნის, კაპიტალისტური ქვეყნის ნაშობი—ფედერაცია სულ ახალქვეყანას, საბჭოთა ქვეყანას?

ჩვენთვის, კომუნისტებისათვის ეს საკითხი გადაჭრილია არა თუ თეორიაში, არამედ პრაქტიკულადაც ვისაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია უნახავს ან გასცნობია, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ამ კონსტიტუციის პირველი თავის მეორე მუხლი ნათლად გვეუბნება: „რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა **არსდება თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირის საფუძველზე**, როგორც **საბჭოთა ეროვნულ რესპუბლიკათა ფედერაცია**“. (ხაზი ჩემია, რ. კ. იხ. „კონსტიტუცია“—ძირითადი კანონი—დამტკიცებული რუსეთის საბჭოთა მეხუთე ყრილობის მიერ, 1918 წლის 10 ივლისს, რომელიც შემდეგ რუსულად „უწყებებშიაც“ დაიბეჭდა და ცალკე წიგნაკადაც გამოვიდა).

დიახ, ჩვენ ფედერალისტები ვართ და სწორეთ იმ აზრით, რა აზრითაც ეს ნათქვამია რუსეთის კონსტიტუციიდან ზემოთ ამონაწერ მუხლში, არც მეტი, არც ნაკლები!

ჩვენს ფედერალისტებს სრული უფლება აქვთ იამაყონ, რომ მათი იმედი, „ერის მომავალი—ფედერაციაა“—გამართლდა, ხოლო მათ ამ შემთხვევაში გამოხ მწუხარებაც ჰმართებთ, რადგან ეს მათი „მოღვაწეობით“ როდი გამართლებულა, არამედ რუსეთის გმირი პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლით. ალბად ამ მწუხარებით აიხსნება ის ამბავი, რომ დღეს ჩვენში, ჩვენი ფედერალისტები ფედერაციას როგორღაც ვერ ეწყობიან და მის განხორციელებას საქართველოში სხვა დროისთვის გვპირდებიან. ისინი ამით იმ ძველ ჩვეულებას [illegible], რომელიც სჭირდათ ჩვენი ქვეყნის ძველ ნაციონალ-დემოკრატებს და მენშევიკებს. ესენი, ნაგალითად, სოციალიზმს არ იწუნებდენ. მხოლოდ მის განხორციელებას „სხვა დროისთვის“ სდებდენ. ჩვენს წრეებშიაც მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც ამ ფედერაციას ნაადრევად ცნობენ და მისი განხორციელების პირობებს ჩვენში მომწიფებულად არ სთვლიან. არიან ისეთებიც, რომლებიც ფედერაციის ჩვენში გატარების მეთოდსა და წესს იწუნებენ მხოლოდ.

მაგრამ ასეთ კომუნისტებსა და ზემოთ დასახელებულ რეაქციონერებს შორის დიდი ზღვარია. პირველთ ერთია აშკარა და უდაო, სახელდობრ ის, რომ ყოველი კომუნისტი პრინციპიალურათ დღევანდელი ხანისთვის ფედერაციას იმ ორგანიზაციის აუცილებელ ფორმათ თვლის, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია და რომელიც მისმა კლასობრივმა მოსისხლე მტერმა, ბურჟუაზიამ ესოდენ განავითარა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კომუნისტი რომელიც რაიმეს პრინციპიალურათ აღიარებს და არ იცის კი თუ რა პირობებში და რა გზით უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი, ცუდი კომუნისტია!

მაშ ერთხელ და საბოლოოთ უნდა გამოირკვეს ჩვენი, კომუნისტური თვალსაზრისით, როგორც ზემოთ დასახელებულ ინტელიგენტების ისე ჩვენი ცუდი კომუნისტების წინააღმდეგ, თუ 1) **რას წარმოადგენს ეს ფედერაცია, 2) რისთვისაა საჭირო და 3) და რა პირობებში და რა გზით უნდა განხორციელდეს ის.**

მსოფლიო პროლეტარიატი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და წინამძღოლობით თავისი საერთო კლასობრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლათ და თავისი საზოგადოებრივი იდეალის, კომუნიზმის განსახორციელებლათ ხელთ იპყრობს სახელმწიფოებრივ ძალა უფლებას, ეპატრონება სახელმწიფოს და თავის კლასობრივ დიქტატურას აცხადებს.

მაგრამ, როგორც ვიცით, სახელმწიფო ეს საზოგადოების ისტორიულ-ტერიტორიალური ორგანიზაცია: წარსულში ერ ნაირი სახელმწიფო არსებობდა, ხოლო დღეს კიდევ სხვანაირია, ერთ ხალხს, ერთ ერს შექმნია ერთგვარი სახელმწიფო, ხოლო მეორეს სხვაგვარი. მაგალითად ძველმა ქვეყანამ იცის დიდი დესპოტიური აზიური იმპერიის სახელმწიფოებრივი ფორმა, ხოლო ახალმა ქვეყანამ კი შექმნა ფედერაცია.

სახელმწიფოს ამ ორ ტიპს შორის მრავალი გარდამავალი ფორმებია და პროლეტარიატს, რომელიც სახელმწიფოებრივ ძალა უფლებას დაეპატრონა ერთ-ერთ ქვეყანაში, მაგალითათ რუსეთში, ისტორიულათ შექმნილ ფორმათაგან ერთ-ერთი ფორმა უნდა აერჩია, თუ სურდა, რომ სახელმწიფო თავისი დიქტატურის გამტარებელ იარაღათ გამოეყენებია.

ასედაც მოხდა: რუსეთის დიდი რევოლიუციის მეორე თვეზე კომუნისტურმა პარტიამ გამოაცხადა ლოზუნგი: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და ამით მან საძირკველი ჩაუყარა პროლეტარიატის მომავალ სახელმწიფოს.

რუსეთის ბურჟუაზიულ—მონარქისტული რუსული სახელმწიფო რევოლიუციურ პროცესში საბჭოთა სახელმწიფოთ გარდიქმნა და ამნაირათ ის შეიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის გამომხატველი.

მაგრამ ამ ბრძოლაში და საბჭოთა სახელმწიფოს დაარსებაში პროლეტარიატს გვერდში უდგა და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული მასთან ერთად მტრებს რუსეთის გლეხკაცობაც ებრძოდა, ამიტომ რუსეთის საბჭოთა სახელმწიფო ამ კავშირის—მუშებისა და გლეხების—დიქტატურის გამომხატველი უნდა გამხდარიყო..

ამნაირათ აღნიშნულმა გარემოებამ—რევოლიუციურ პროცესში გლეხკაცობის მონაწილეობამ—პროლეტარული პირველი სახელმწიფოს ფორმაც განსაზღვრა: ის შეიქმნა მუშათა და გლეხთა საბჭოების სახელმწიფოთ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა. სახელმწიფომ უმთავრესათ მიიღო შიშველი კლასობრივი სახე.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ პროლეტარულ სახელმწიფოს ყოველივე ეროვნული აღმოფხვრას ძალით: სხვა და სხვა ერები ერთი დიქტატურის მბრძანებლობის ქვეშ დააყენოს და ყველას ერთი სახე მისცეს, ყველა ერთფეროვანათ აქციოს. სრულიადაც არა! პროლეტარიატი თავის კლასობრივ ბრძოლაში როგორც ეკონომიურ სფეროში, ისე პოლიტიკურშიაც ეროვნულ ფორმას არ ებრძვის და სულაც არ ფიქრობს მის წაშლას ძალით. ეს მის ინტერესს არ შეიცავს. მას სწყურია მოწინააღმდეგე კლასის, ბურჟუაზიის დათრგუნვა და ამისთვის სრულიათ საკმაოა შექმნას თავისი კლასის დიქტატურის ისეთი სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ეროვნების დაუთრგუნავათ, ეროვნული სახის ძალით წაუშლელათ საშუალებას მისცემს სავსებით მიაღწიოს თავის მიზანს. ასეთი ფორმა კი, დღემდე შექმნილი არის მხოლოთ ფედერაცია და აი პროლეტარიატმაც ეს ფორმა აირჩია.

რაჟდენ კალაძე.

(შემდეგი იქნება)

კაპიტალიზმის სამეფოში

ინგლისი

ინგლის გერმანიის კომბინაცია.

ლონდონი, 23 ნოემბ. ინგლისში დიდი ყურადღება იქცევა სტინესის ჩამოსვლას. მასთან მჭიდროთ დაკავშირებულია რუსეთის საკითხი. სტინესის აზრით ერთად-ერთი იმედი ევროპის ნორმალურ მდგომარეობის აღსადგენად ძევს რუსეთის აღორძინებაში, რაც მოითხოვს საბჭოთა მთავრობებთან თანამშრომლობას და აგრეთვე კონტროლს საზღვარ გარეთულ საქონლის გაცვლის დროს რუსეთის ნედლ მასალაზე... სტინესის ჩამოსვლის მიზანია ინგლის-გერმანიის შორის მეგობრულ განწყობილების დამყარება. სტინესი აღნიშნავს, რომ დადგა მომენტი, როდესაც ინგლისმა, ამერიკამ და გერმანიამ ისეთ უნდა აღადგინონ რუსეთის მრეწველობა. ეს ამოცანა მეტად მძიმეა და ამიტომ მისი შესრულება მარტო ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია.

ევროპის მშველელები.

ლონდონი, 23 ნოემბერი. (რადიო). ინგლისური პრესა მკაცრად აკრიტიკებს ბრიანის გამოსვლას ვაშინგტონის კონფერენციაზე და აღნიშნავს, რომ პარიზის პოლიტიკა რუსეთის მიმართ გაჟღენთილია მტრული სულით. ერთად ერთი საშუალება ბოლშევიკური მილიტარიზმის საშიშროების გასაფანტავათ იმაში მდგომარეობს, რომ უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი რუსეთის ცივილიზაციური ქვეყნების ოჯახში შესაყვანად- ამას ხელს უშლიდა და კვლავ უშლის საფრანგეთი. [illegible] ბრიანს, თითქოს ბოლშევიკების ხან საფრანგეთმა გადაარჩინა ევროპა, და აღნიშნავს, რომ სწორედ საფრანგეთია ყველაზე უფრო იმპერიალისტური სახელმწიფო მთელ მსოფლიოში.

იტალია.

რომი. 25 ნოემბერი. (რადიო) მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი რეფორმების შესახებ (დამახინჯებულია). [illegible] პალატი მუშაობს; სხდომას დაესწრო 50 დეპუტატი; შეიტანეს შეკითხვა შინაგან პოლიტიკის შესახებ; მთავრობამ საპასუხოთ განმარტა ის ზომები, რომლებიც მიღებული იყო ფაშისტების ინციდენტისა და აგრეთვე გაფიცულების წინააღმდეგ. ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება და საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახასიათა საგარეო მდგომარეობა. განახლდა სენატის მუშაობა სენატორების დიდი რიცხვის მონაწილეობით. რომის გაზეთები აღნიშნავენ დამშვიდებულათ სენატისა და პარლამენტის მუშაობის განახლებას და ამას აწერენ კაბინეტის გამტკიცებულ მდგომარეობას.

— ვენეციაში გაფიცვა შეწყდა, რადგანაც მუშებში არ იყო სოლიდარობა. თითქმის ყველა მუშები დადგა სამუშაოზე.

შესდგა პარლამენტის სამხედრო კომისიის პლენარული სხდომა. სამხედრო მინისტრმა გააკეთა მოხსენება ჯარის მდგომარეობის შესახებ, მინისტრმა აღნიშნა ეკონომიის დაცვა სამხედრო კრედიტების გაღებაში.

— გაზ, „ტაიმსი“-მ გამოაქვეყნა ინტერვიუ კარდინალ გასპართან, რომელიც, როგორც აღმოჩნდა მზადაა დათმობაზე წავიდეს და ცდილობს წმინდა ტახტთან შერიგებას იმ პირობით კი, რომ არ იქნეს დარღვეული ნაციონალური მთლიანობა.

პოლონეთი

ბრძოლა კომუნიზმთან.

ვარშავა, 23 ნოემბ. (რადიო). სეიმში იხილავენ პროექტს ახალი განსაკუთრებული კანონისას, რომელიც გამოიმუშავა იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა და ყოფილმა პეტროგრადის ვექილმა რიმოვიჩმა. პროექტის თანახმად არსებულ წესწყობილების ჩამოგდების ცდა და რომელიმე კლასის ბატონობის დამყარება და აგრეთვე საბჭოების ორგანიზაცია—ისჯება სიკვდილით.

პოლონელ კომუნისტის გამოსვლა.

ვარშავა. 24 ნოემბ. (რადიო). კომუნისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონის განხილვის დროს სეიმში კომუნისტმა დეპუტატმა ლანცუცკიმ განაცხადა: „თქვენი კანონი მიმართულია საზოგადოებრივი გადატრიალების წინააღმდეგ, მაგრამ ის თქვენ ვერ გიშველით. თქვენ მიიყვანეთ პოლონეთი სამეურნეო ანარქიამდი, ყოველ დღე თქვენ ხურავთ ფაბრიკა-ქარხნებს. თქვენ შეგიძლიათ პირზე დაგვაფაროთ ხელი, მაგრამ იცოდეთ, რომ მუშათა კლასი თავს არ მიანებებს თავის ძალღონის მოკრებას მანამდი, სანამ არ მოიპოვებს პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკას.

ამერიკა

ვაშინგტონის კონფერენცია.

მოსკოვი, 27 ნოემბ. (რადიო). ბრიანმა განაცხადა კონფერენციაზე, რომ საფრანგეთი ხმელეთზე ვერ განიარაღდება, რადგანაც: 1) გერმანიის განიარაღება ფიქტიურია და მას შეუძლია მალე შეადგინოს 7 მილიონიდან შემდგარი არმია, 2) რუსეთის წითელი არმია შეადგენს 1 ნახ. მილიონ კაცს, რომელიც ნამდვილად 6 მილიონს უდრის და შესაძლებელია ყოველ წამში დაიწყონ ევროპის შეტევა.

საფრანგეთი

ბრიანის განცხადება მართლდება.

ნაუენი, 24 ნოემბ. (რადიო). იმ დროს როდესაც ვაშინგტონის კონფერენციაზე ხდება სხდომები განიარაღების საკითხის შესახებ, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა ფერადი ჯარებისგან დიდი არმიის შედგენა.

რუსეთი და ოსმალეთი.

მოსკოვი, 27 ნოემბ. (რადიო). საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების გამო, ოსმალეთის დიდმა ნაციონალურმა ყრილობამ გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს ნოტა, სადაც ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, რომ ხელშეკრულება ვერ შეარყევს რუსეთ და ოსმალეთს შორის მეგობრულ განწყობილებას და რომ მას არავისთან არ დაუდევს ისეთი ხელშეკრულება, რომელსაც შეეძლოს ზიანის მოტანა მათი პოლიტიკური კეთილ განწყობილებისათვის.

გაერთიანებულ რკინისგზელებისათვის

გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის ორგანოს დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს გაერთიანებულ რკინის გზის მუშა მოსამსახურეებისათვის 100,000 ოქროს მანეთად ღირებულ ტანსაცმელ-ფეხსაცმელის ყიდვას.

ქრონიკა

◆ **კახეთის რკინის გზის შეკეთება.** 18 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე კახეთის რკინის გზას 18 ვერსის შესაკეთებლად მუშაობდა 248 კაცი, რომელნიც გამოწვეული იყვნენ სამუშაოდ შრომის ბეგრის გზით. 18 ვერსის გზის ლიანდაგი შეკეთებულია.

◆ **კომუნალურ მეურნეობის და ეკონომიური განყოფილების გაერთიანება.** შრომის სახალხო კომისარიატთან შემდგარ საუწყებთაშორისო თათბირზე, ეკონომიურ განყოფილების და კომუნალურ მეურნეობის გაერთიანების საკითხი სასურველათ იქნა ცნობილი. თბილისში უნდა დარჩეს ძველი მდგომარეობა. კომუნალური მეურნეობის ცენტრი უნდა იქნეს გამოყოფილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან და კომუნალური მეურნეობანი უნდა დაემორჩილონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

◆ **სანიტარულ ჰიგიენური რაზმები.** რკინის გზის სამმართველომ მიმართა შრომის სახალხო კომისარიატს თხოვნით, რათა დაეხმაროს სანიტარულ ჰიგიენური რაზმების შექმნაში, [illegible] შეუძლებლობა ამ რაზმების მოწყობისა თავის ხარჯით. რაზმები უნდა იყვნენ მოწყობილნი: ფოთში—25 კაცი, სამტრედიაში—50 კაცი, შორაპანში—50 კაცი, ხაშურში—50 კაცი, თბილისში—100 კაცი, ნავთლუღში—50 კაცი, ქუთაისში—25 კაცი, ნავთლუღ—კახეთისაში—25 კაცი, თელავში—25 კაცი და სანაინში—25 კაცი.

◆ **წონის და ზომის საერთაშორისო მეტრიული სისტემის შემოღება საქართველოში.** სამრეწველო კომიტეტის კოლეგიამ განიხილა და მოიწონა პროექტი დეკრეტისა საქართველოში ზომისა და წონის მეტრიული სისტემის შემოღების შესახებ, პროექტი წარედგინა განსახილველად ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს.

◆ **შტატების შემცირება.** შტატების მაქსიმალურ შემცირების გატარებისათვის შრომის სახ. კომისარიატში, პროფსაბჭოს სატარიფო-სანორმო განყოფილებამ დაადგინა მიეცეს შ. ს. კომისარიატის მოსამსახურეებს ჯილდო ძირითადი ჯამაგირის 400 პროცენტის რაოდენობით.

— ცენტრალურმა საშტატო კომისიამ დაადგინა დაწესდეს გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატისათვის მტკიცე ნორმალური შტატი—87 კაცი, ყოფილ 129 კაცის მაგივრად.

— ცენტრალურმა საშტატო კომისიამ დაადგინა შემცირდეს შტატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ს. კომისარიატმა და დაამტკიცა მტკიცე შტატი 58 კაცის შემადგენლობით, პირველ 80 კაცის მაგივრათ.

— ქალაქის რევკომში. ქალ. რევკომის თავმჯდომარის ამხ. ბ. გეგეჭკორის ლეჩხუმის მაზრაში გამგზავრების გამო, მისი მოვალეობის აღსრულება დაეკისრა რევკომის პრეზიდიუმის წევრს, ამხ. გოგიტაშვილს.

— გადმოსახლებულთა და ლტოლვილთა. ცენტრო-ევაკომ 25 ნოემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს წარუდგინა მოთხოვნა სადგ. ეულახში 3 მატარებლის მოცემაზე 40 დახურულ ვაგონის შემადგენლობით თითო და 30 ვაგონისა სად. ნახიჩევანზე, გადმოსახლებულთათვის, რომელნიც მიემგზავრებიან ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით ჩრდილო კავკასიაში და 10 ვაგონისა სადგურ გაჯვაზე ლტოლვილების გადასაყვანად სად. ალექსანდროპოლზე.

— ექსპლოატაციის უფროსმა მოახდინა განკარგულება 40 ვაგონის გაგზავნაზე ეულახში 27 ნოემბრისათვის, 40—29-სათვის და 40-სა 1 დეკემბრისათვის.

რევკომების ყრილობა

ამხ. კვირკველიას მოხსენება

გამოსცა რა საერთო მიმართვა საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის და ადგილობრივ ორგანოთა ურთიერთობის შესახებ, მიიღებული გადადგის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოადგილების მიმოსვლაზე. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ცდილობს თავის ხელმძღვანელობა, თუ ეს არ ჰქონდა საქმეთა განაწყობილებული დებულებები სახალხო კომისარიატის შესახებ, განიხილოს ზუსტად მიღებული დებულებები რუსეთში ამ ხნის შემდეგ არის დამტკიცებული, და რასაც ქვეყნის წესზე.

გამოიმუშავა რა დროებითი დებულებები, რომელიც ამ ხნის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების, სახალხო კომისარიატმა პირველ დღიდანვე დაეგზავნა იგი ადგილობრივ შესასრულებლად.

სახალხო კომისარიატის ძირითადი მიზანი იყო ადგილობრივ მოხელეთა გაწვრთნა და ადგილობრივ ორგანოების მათი მოვალეობაზე, თავისუფლების დაცვა ცენტრალურ ხელისუფლების ყველა დეკრეტის და განკარგულებების ზუსტი შესრულებისათვის და სახელმწიფო შემოსავლებისათვის, ორგანიზაციის საქმეებისათვის და კომუნალურ მეურნეობის განვითარებას.

სახალხო კომისარიატი, დაკისრებული თავისი ფუნქციების მიხედვით, იყოფა 6 ცალკე სამმართველოდ: 1) საორგანიზაციო ინსტრუქტორო, 2) კომუნალური მეურნეობა, 3) მილიცია, 4) სისხლის სამართლის საძიებო, 5) საევაკუაციო ცენტრალური სამმართველო და 6) საქმეთა მმართველობა. ყველა სამმართველო მოქმედობს რესპუბლიკის მასშტაბით.

საორგანიზაციო საინსტრუქტორო სამართველო, რომელიც სახალხო კომისარიატის მთავარი ყველაზე ხელმძღვანელობს, თვალყურს ადევნებს საადგილობრივო ორგანოთა მუშაობას და ზომებს იღებს მის მიერ ზეზე ჩადენილ დეკრეტების ასრულებად ან დამოუკიდებლივ ან სახალხო კომისარიატის კოლეგიის საშუალებით.

სამართველოს მთავარი ყურადღება იყო მიქცეული ადგილობრივ ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობაზე, რისთვისაც სამართველომ მოაწყო ზედ მეტი მივლინება სხვადასხვა მაზრებში და სოფლებში და ერთდროულად იგზავნებოდნენ ინსტრუქტორები გამოსაკვლევად. სულ სამართველოში 761 საჩივარი შემოვიდა; ყველა საჩივრებზე სათანადო პასუხი გაიცა. სამართველო უფლებამოსილია ყველა სამაზრო რევკომისას, რომელნიც მოვალენი არიან გადაუგზავნონ სახალხო კომისარიატს ყველა თავისი ბრძანებანი და განკარგულებანი, ახლოდ 13 მაზრიდან სულ წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი არა, და მათი შესწავლილი იქნება, რომ ეს მთელი გადაცემული იქნება, ვინაიდან სახალხო კომისარიატი უნდა იცოდეს, რა ქვეყნდება ადგილობრივ. ამისათვის განკარგულებული და სახელმწიფოებრივ ოკრუგისთვის და გამოცემული 80 ზე მეტი დაგზავნილი.

კომუნალურ მეურნეობის მთავარი სამართველო ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას სინდისიერად და თავის უშუალოთ სხვა დანარჩენ სამართველოებს ეკრობს.

აქვს რა რუსეთის მწვავე გამოცდილება ნაციონალიზაციის და მუნიციპალიზაციის შესახებ, კომუნალურ მეურნეობის დარგში, მთავარი სამართველო სცდილობდა ეცდინა საზიანო ექსპერიმენტები ამ ხნოვამის არ ჰქონდა განსაზღვრული დებულება, მაგრამ ხედავდა ერთი მხრივ ქალაქის მეურნეობის ნგრევას უფსკრულში, მეორე მხრივ—ესმოდა რომ საჭიროა საბჭოთა ადგილობრივ თვითმართველობის პოზიციების დაცვა.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო ეხლა შესაძლებელია უფრო ფხიზლად ვუყუროთ კომუნალურ მეურნეობის ყოველ საკითხს. აი მუშაობის სტატიაში ჰქონდა ხედვება კომუნალ მეურნეობას.

მთავარ სამართველომ გამოიმუშავა დებულებანი კომუნალურ მეურნეობის შესახებ, გადაგზავნილია და გადამუშავებული ინსტრუქციები და დებულებანი კომუნალური მეურნეობის, იგზავნებოდა ადგილობრივ ინსტრუქტორები, გამომუშავებულია ბაღი—ქალაქის ტიპი, ნაგვის საწვავი—ქურები და სხვა.

მილიციის მთავარი სამართველო.

იგი ახლო არევს აქვს დამოკიდებულება მცხოვრებლებთან, როგორც მილიციას და მცხოვრებნი საბჭოთა ხელისუფლებას შესახებ სჯიან იმის მიხედვით, როგორ მუშაობს და იქცევა მილიცია. მილიციას ჰქონდა მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება და შეძლებისდაგვარად სახალხო კომისარიატი ცდილობდა მოემარაგა იგი ყოველმხრივ, მაგრამ ხაზინის რესურსები არაა დიდი და ამიტომ სამართველოს ადგილობრივ ორგანოებს უკვეთა, დიდი ზომით უნდა მოახდინოს მილიციის მომარაგებისათვის. მაგრამ საერთოდ თბილისის, ფოთის, ქუთაისის და ბათომის გარდა, მილიციის მომარაგება დამაკმაყოფილებელი არაა და აქამდე სამხედრო მილიციის მომარაგება რიგზე სდგას. მილიციის მთავარი სამართველო იმედით მოწყობილია დამაკმაყოფილებლად, რომ ქვეყნის მოწყობისას მილიცია აქ ჩამოყალიბდეს რ. ს. ფ. ს. რ. მილიციის მთავარი სამართველოს ფუნქციისაგან.

მთავარი სამართველო მოწყობილია აპრილის 15 დებულებით, მილიციის საგუბერნიო ორგანიზაციები მოსპობილია. მთავარი სამმართველოს საინსპექტორო საზედამხედველო აწარმოებს მილიციის სამართველოთა რეგულიარულ რევიზიას და ინსტრუქციის აძლევს მის თანამშრომლებს. საერთო რიცხვი ბოროტ-მოქმედებისა მილიციის ახლო 300 მეტი არ არის.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს სისხლის სასამართლოს ძიების საქმის ორგანიზაციას.

საევაკუაციო ცენტრალურმა სამმართველომ სამშობლოში გაგზავნა 12,000 კაცზე მეტი.

ადგილობრივ თემში ხელისუფლება ახალი არ ჰქონია, მაგრამ პირველ დროში ადგილობრივ რევკომებში შემოხვდნენ ბოროტ-მოქმედი ელემენტები. ამასთან ერთად ზოგიერთი რევკომები ძალიან თამამად, თავისი რისკისა და შიშის პასუხისმგებლობით სწყვეტდნენ ზოგიერთ საკითხებს. ეს აიხსნება ინსტრუქციების უქონლობით. როდესაც კავშირი დამყარდა ცენტრთან, ეს უარყოფითი მოვლენები აღმოფხვრილ იქნა.

თავისი მოხსენება ამხ. კვირკველიამ დაამთავრა აღნიშვნით, რომ 9 თვის მიწურულს საბჭოთა ხელისუფლება ამ საქართველოში ეტაპი ესაზე მოიპოვა და დამკვიდრდა. ამ მდგომარეობას ვერავინ უარყოფს და ჩვენებაა დამოკიდებული ამ ხელისუფლების დამკვიდრებას ხელი შეუწყოს.

ჩვენი რადიო-სადგური

ერთ უმთავრეს საბრძოლო აპარატთ, გამოყენებულთ, იმით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ახალ წყაროდ ისთვის უნდა ითვლებოდეს ჯეროვან კავშირით დასაბუთებული ინფორმაცია.

შეიძლება ჰქონოდეთ, როდესაც ჩვენ გარს გვარტყია მტრები და მოწყვეტილი ვართ მთელ მსოფლიოს, დამოუკიდებელი ვართ იმპერიალისტურ კაპიტალიზმის სამეფოებიდან, არ გვაქვს თითქმის ფოსტა-ტელეგრაფი და კავშირი ჩვენ ამხანაგების შორის დიდი ძალიან ყველა ეს დაკარგულია.

მაგრამ ძლიერი რადიო სადგურის გარეშე არავითარი ინფორმაცია შეუძლებელია და აბსოლიუტურად შეუძლებელი.

ძლიერი რადიო სადგური იღებს მთელ მსოფლიოს დიდ ცენტრებიდან რადიო-ცნობებს და იღებს დროის თითქმის ერთსა და იმავე წუთს.

ამ გვარი რადიო-სადგურის უქონლობით ინფორმაცია კლდება და ისიც ისმის, როგორც მთელს საბჭოთა რუსეთში, საბჭოთა აზერბაიჯანში და თვით უწინდელ საბჭოთა რუსეთის სხვა ადგილებში.

ერთად-ერთი დიდი ქვეყანათ ამ მხრივ ჩამორჩენილი იყო საქართველო.

1918 წლის დასაწყისს, გერმანიის ჯარის აქ ყოფნის დროს, გერმანელებმა თავის სახსრით გამართეს თბილისში ძლიერი რადიო-სადგური 15 კილოვატის ძალით, მაგრამ ათი ვერ მოასწრეს მისი მილების ანტენის და 28 ბატარეის.

როცა გერმანელებმა საქართველო მიატოვეს, ეს რადიო-სადგური გადავიდა მენშევიკური მთავრობის ხელში და თან და თან იწყო მოშლა.

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ძლიერი რადიო-სადგური სრულიად აღარ მოქმედებდა: ბევრი ძვირფასი ნაწილი და ხელსაწყო სადგურის, რომლებიც დაეტაცნათ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ერთად-ერთი მიუკარებელი ძვირფასი ნაწილი, რომელიც დარჩენილიყო ამ რადიო სადგურიდან—ელექტრონ-მოძრავი ისიც დაზიანებული იყო ჩიხში. მძლავრ რადიო-სადგურის ხაზებით მუშაობდნენ მხოლოდ მცირე ძალის სადგური 2 კილოვატისა, რომლის შემწეობით მხოლოდ შეიძლო ცნობების მიღება და გზავნა მხოლოდ ამიერ-კავკასიის ოკუპირებულ ქვეყანაში.

მოტოცეისაგან გადარჩენილი ქონება მენშევიკების დროს მთლად დაზიანებული და უვარგისი გამხდარა უცხოელების ეშხენდა ბედიდი უპატრონობა და უყურადღებობის.

საბჭოთა ხელის უფლების შემოღების დროს საქართველოში ყოველი ურთიერთობა და კავშირი სხვა ქვეყნებთან მოშლილი აღმოჩნდა. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს არ შეეძლო ჯეროვანი ყურადღება მიექცია რადიო სადგურისთვის და იმას დასჯერდა, რომ შეესწორებინა და გაემართა მცირე ძლიერების სადგური 2 კილოვატისა.

მიმდინარე წლის ანგარიშით სადგურის სათანადო მდგომარეობაში მოყვანა და ძლიერ რადიო-სადგურის აღდგენა 15 კილოვატისა მიანდეს ინჟინერ წვერავას, რომელიც იმ დროს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რადიო-განყოფილების გამგე იყო.

სამ თვეზე მეტს სწარმოებდა ეს მუშაობა და ამ სადგურის დათვალიერების დროს სცნეს ბერში აღმოჩნდა, რომ მუშაობა მიდის ნელის ტემპით, მნიშვნელოვანი ბრალეური არ გამოჩნდება და ერთი სისწრაფით რადიოსადგურის ფაქტიურად აღდგენა გაუთვალისწინებელი, უიმედო იყო.

მაგრამ ოქტომბრის დამდეგს, დაიწყეს მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მთავარ სახელოსნოებში, სადაც დიდის სიჩქარით მოამზადეს ცალკე ნაწილები 15 კილოვატიანი ძლიერი სადგურისა. შემდეგ მუშაობა გადაიტანეს პირდაპირ ნავთლუღში და იგი ადგილობრივ წარმოებდა.

ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავისთვის ძლიერი რადიო-სადგური უკვე მზათ იყო, მაგრამ მის გახსნას შეუშალა ხელი იმ გარემოებამ, რომ როგორც საოქმიდ იყო ზეცით, ჯვარედინ მაღალ ძაბვის იზოლ. —ელექტრონის უძლიერესი სისწრაფის დაზიანებული აღმოჩნდა. ეს იზოლი მეტი გზა არ იყო, უნდა დაეშალათ და სულ სხვანაირათ მოეწყოთ, ამის შემდეგ სადგური ამუშავდა. გამართვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტექნიკურად გაუმჯობესებამ, მუშაობის პროცესში მოხმარებულმა, შესაძლებლობა მოგვცა სადგურის სიძლიერის 28 კილოვატამდე აყვანა.

ანტენისთვის მიღებულია გერმანულ 28 ამპერის ნაცვლათ 43 ამპერი.

მაშასადამე სადგური ამ ჟამათ იმდენათ საფუძლიანათაა მოწყობილი და ტექნიკურათ რიგზე გამართული, რომ სამაგალითოთ ჩაითვლება და სრულიად დაუბრკოლებლივ იმუშავებს.

ხსენებულ რადიო-სადგურის შემწეობით ჩვენ შეგვიძლია მუდმივი კავშირი ვიქონიოთ მოსკოვთან, ციმბირთან, ინდოეთთან (ბასრით), ოსმალეთთან, (სადგური ოსმანიე), იტალიასთან (სადგური იდი), საბერძნეთთან, გერმანიასთან, (სად. ნაუენი), ავსტრო-უნგრეთთან, ბოლკანეთის სახელმწიფოებთან, საფრანგეთთან, (სად. ლიონი და ბორდო), ინგლისთან (სად. კარნარვანი და პოლდიუ).

ყოფილი 2 კილოვატიანი სადგური გადაკეთებულია და მოწყობილია 3 კილოვატიანათ, მაგრამ ამ სადგურს მნიშვნელობა აქვს, როგორც მძლავრ სადგურს.

ამ მუშაობის მთავარი ინიციატორი, ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი არის გლეხის, შავი მუშის შვილი ა. ი. კამარაული, რომელმაც მოახმარა ამ საქმეს მთელი თავისი ცოდნა: იგი, როგორც ხელოსანი—ელექტრო-მექანიკოსი თავის საკუთარი ხელით სხვა მუშებთან ერთად ასრულებდა ყველა სამუშაოს და ამავე დროს ხელმძღვანელობდა უშუალოდ საქმის საერთო მსვლელობას. მისი თანაშემწე იყო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რადიო-განყოფილების გამგე ამხ. ა. კოტინი.

ამ აღნიშვნით, ამ შრომის ღირსების გამოდება, დაიყენეს საქართველოში ინფორმაცია სამ ჯეროვან სიმაღლეზე და ამით დიდი სასარგებლო გაუწიეს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

ხვიტი.

ოქტომბრის რევოლუციის 4 წ. თავის დღესასწაული პროვინციაში

მეჯვრისხევი (გორის მაზრა)

6 ნოემბრის საღამოთ აშკარათ დაინახა მეჯვრისხევს მოქალაქეთ, რომ მეორე დღე უნდა ყოფილიყო არაჩვეულებრივი. მართლაც 7 ნოემბერს, სოციალისტურ რევოლუციის ოთხი წლის თავი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა სოფ. მეჯვრისხევში, დღესასწაულში მიიღეს მონაწილეობა ყველა რევოლუციონურმა დაწესებულებებმა. მთელი საზოგადოება შეიკრიბა კოოპერატივის შენობის წინ. ჩიტო ქუთიშვილის მეთაურობით მომღერალთა გუნდმა შეასრულა ინტერნაციონალის ჰიმნი. ამხ. მ. შარაშკილმა ვრცელ სიტყვაში გააცნო დამსწრე საზოგადოებას შვიდ ნოემბრის დღესასწაულის მნიშვნელობა.

ამხ. იაზუკიაშვილმა—ამ დღის მომწყობ კომისიის თავმჯდომარემ—გააცნო საზოგადოებას დღესასწაულის გეგმა. დაიწყრივდნენ კომ. ახ. კავშირის წევრები. მათ მიჰყვა მომღერალთა გუნდი და აუარებელი ხალხი. პროცესია გაემართა ამხ. ი. ზარაფიშვილის საფლავზე, სადაც ამხ. იაბუჯიაშვილი მიესალმა საყვარელ ამხანაგის საფლავს, გაჰკვეთა მან ეპოქა, რომელშიაც ულმობელ მტრის ხელით ჯერ ხარჩა, მაგრამ მედგარი ებრძოდა იმათ, რომელმაც შეასრულა თავისი წმინდა ვალი და მსხვერპლი სოციალისტურ რევოლუ-

ქალაქ თბილისის კომუნალური მეურნეობა

(ქალაქის რევკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. გოგიტაშვილის მოხსენება ს. პ. კ. ს. პლენუმში)

ორშაბათს, ნოემბრის 21-ს, საღამოს მუშათა სასახლეს დიდ დარბაზში შესდგა ს. პ. კ. ს. პლენუმის გაფართოებული სხდომა, პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობებს, საქარხნო, საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებთან ერთად. სხდომაზე მოისმინეს ვრცელი მოხსენება თბილისის ქალაქის რევკომის წევრის, კომუნალური განყოფილების გამგის ამხ. გოგიტაშვილისა, ქალაქის მეურნეობის მდგომარეობის და ქალაქის რევკომის კომუნალური პოლიტიკის შესახებ. ფაქტიურ ცნობებით და ციფრებით დასაბუთებული მოხსენება მოსმენილ იქნა დიდი ყურადღებით და ინტერესით.

გარდატეხა კომუნალურ პოლიტიკაში.

ივნისის 20 რიცხვში, როდესაც მე შევუდექი კომუნალურ მეურნეობის მართვას,—დაიწყო ამხ. გოგიტაშვილმა,—თბილისის ქალაქის რევკომის კომუნალურ პოლიტიკაში მოხდა რადიკალური გარდატეხა: კომუნალურ ყოველ ჯგუფ უფასოდ და ხმარების სისტემიდან ჩვენ დავიწყეთ გადასვლა წმინდა სამეურნეო სისტემისაკენ. ქალაქის მეურნეობა ყველას თვალ წინ ირღვეოდა, ტრამვაი მცირდებოდა, ელექტრონის სადგურები ინგრეოდნენ, წყალსადენი მუშაობდა ხანგამოშვებით და სხვა. ცხადი იყო, რომ ქალაქის წარმოებათა გადასარჩენად, აუცილებლათ საჭირო იყო მეურნეობის სამეურნეო საფუძველზე მათი გადაყვანა, რომ ყოველ წარმოებას, თუ ის არ მოჰქონდა მოგება, ყოველ შემთხვევაში შეეძლებოდა საკუთარ ხარჯით თავის შენახვა. უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისის საქალაქო მეურნეობას მთელ საქართველოს მასშტაბით აქვს უპირველესი მნიშვნელობა. იგი უნდა იყოს მაგალითი და ნიმუში ყველა პროვინციალურ ქალაქისათვის.

კომუნალური განყოფილება.

კომუნალურ განყოფილებაში მე დავხვდი ქალაქის ძველი გამგეობა ყოველივე ნიშანთ ატრიბუტებით. საჭირო იყო ყოველივე ამის ორგანიზაციულად გადაკეთება. ამერიკა არ აღმოვაჩინეთ: კომუნალურ პოლიტიკის სფეროში ჩვენ გამოვიყენეთ საბჭოთა რუსეთის პრაქტიკა. კომუნალური განყოფილება იყოფა 5 ქვეგანყოფილებად 1) წარმოების, 2) განშენებულების, 3) საბინაო, 4) მომარაგების და 5) საადგილმამულო.

რას წარმოადგენდნენ ჩვენამდის ქალაქის წარმოებანი და რანაირ მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი ამ ჟამად?

წყალსადენი.

ეს არა ორგანიულათ მოკლებული წარმოება, არამედ შეკოწიწებულია ვაი-ვაგლახით, ნაჩქარევად სხვა და სხვა ნაწილებისაგან. წყალსადენი გამოანგარიშებული იყო სულ ბევრი 200,000 კაცის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამ ჟამად თბილისის მოსახლეობა სჭარბობს ნახევარ მილიონს. ცხადია, რომ მთელ ამ მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებას წყალსადენი ვერ შესძლებს—აი მიზეზი ზაფხულის „წყლის“ მუდმივი კრიზისისა.

ეს კრიზისები გაჩნდნენ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად—როგორც ამბობენ ჩვენი „მეგობრები“. ჯერ კიდევ 1914 წ. ადგილი ჰქონდა ცნობილ დიდ წყლის პროტესტს უწყლობის გამო. შემდეგ რევოლუციის ყველა წლებში მენშევიკების დროს ტფილისი სერიოზულად განიცდიდა გაჭირვებას წყალსადენის უწესრიგო და არადამაკმაყოფილებელ მუშაობის გამო.

ამ ჟამად ჩვენი ავჭალის წყალსადენი იძლევა დღე და ღამეში 1,5 მილიონ ვედრო წყალს.

არნაირ ნაყოფიერებამდე წყალსადენი არ ამწევდა არასდროს არც მენშევიკების და არც მეფის რეჟიმის დროს.

სექტემბერში წყალსადენი იძლეოდა უფრო მეტს—1,6 მილიონ ვედროს. დაკლება გამოიწვია ერთი ორთქლით მოძრავ ტურბინის გაფუჭებამ, რომელიც საბოლოოდ გაცვდა. საზოგადოთ წყალსადენზე ზოგიერთი მანქანები მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში შეუჩერებლივ, რაიც ტექნიკაში არასდროს არაა დაშვებული. საკუთარ სახსრით ჩვენ შეგვეძლო წყლის გაცემის აწევა 1,8 მილიონ ვედრომდე დღე და ღამეში, მაგრამ ეს უსარგებლოა—ძირითად მაგისტრალს ავჭალიდან არ შეუძლია 1,6 მილიონ ვედროზე მეტის გაშვება. მაგისტრალის გადაკეთებას არ აქვს აზრი, საჭიროა ახალ წყალსადენის აშენება. და ეს საკითხიც ედგა დღიურ წესრიგში ჩვენზე ადრე. ადრე თუ გვიან ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ჩვენი მცირე სახსარით, წყალსადენზე ჩვენ ვაწარმოებთ საჭირო შეკეთებას: თვითონ შევაკეთეთ ტურბინა—არაჩვეული შემთხვევა ავჭალის წყალსადენის ისტორიაში.

რომ წყალსადენი რიგიანად შევინახოთ, საჭიროა დიდი ტექნიკური შტატი და უამრავი ფინანსიური სახსარი. ამ ჟამად წყალსადენს არ მოელის არავითარი შიში, მაგრამ ის შესძლებს კიდევ გაძლებას არა უმეტეს 4—5 წლისა.

გუშინ წყალსადენმა მოგვცა 1450 ათასი ვედრო, დღეს—1500, ორი დღის შემდეგ მოგვცემს 1600 ათას—ეს საზღვარია.

ტრამვაი.

1910, 11, 12 და შემდეგ წლებში თბილისში იყო 105 მოტორიანი ტრამვაის ვაგონი და რამდენიმე მისაბმელი. 1920 წ. ეს რიცხვი შემცირდა 43-44-დე. 1921 წლის თებერვალში დადიოდა სულ 25-26 ვაგონი.

ტრამვაი მცირდებოდა და, რომ თავიდან აგვეცილებინა მისი ბუნებრივი სიკვდილი, ჩვენ თვითონ ხელოვნურად შევაჩერეთ მოძრაობა.

ტრამვაის შეკეთება მოითხოვდა დიდ ფინანსიურ სახსარს, რომლის გაცემაც სახელმწიფოს არ შეეძლო. და აი თითქმის სექტემბრის 1-ლს დადგენილ იქნა ვაგონების გაშვება და სამოგზაუროდ მაღალ ფასის გადახდევინება, რომ შემოსავლით შეგვეკეთებინა ტრამვაის შეკეთება.

ჩვენი ამოცანა დარღვეულიყო საბჭოთა პრინციპი საქალაქო საწარმოთა უფასობისა და გამოყოფილიყო ტრამვაის სალარო—დამოუკიდებელ იქნა. 5000 მან. ფასის გადახდა სამოგზაუროდ მე თვითონვე ძალიან ბევრი მეჩვენა. მაგრამ საჭირო იყო მოსამზადებელი პერიოდის წარმართვა: შეგვეკეთებინა ვაგონები, ლიანდაგი და 3 ერში გაყვანილი მავთულის ხაზი, ჩვენი იმედები გამართლდა. სექტემბრის 15-დან დღევანდლამდე ტრამვაის მთელი ყოველდღიური შემოსავალი საშუალოდ შეადგენს 48 მილიონ მანეთს.

ჩვენ დავიწყეთ ვაგონების გამოყვანა თანდათან: თავიდან გამოვუშვით ჯერ 12, მალე ავიყვანეთ 25-მდე, და დღეს პარკში 41 მოძრაობისთვის სავსებით გამოსადეგი ვაგონია. თუ ჩვენ არ ვუშვებთ მოძრაობაში 26 ვაგონზე მეტს, ეს მხოლოდ აიხსნება ჩვენს მიერ განცდილ საწვავ მასალის სიმცირით.

ჩვენი სახსრით იანვრისთვის შევძლებთ 14-15 ვაგონის შეკეთებას, რითაც საერთო რიცხვს ავიყვანთ 55-56 დე.

დანარჩენ ვაგონების შესაკეთებლათ საჭიროა მასალისა და ნაწილების საზღვარ გარეთიდან მიღება. არ ვამბობ, რომ მათ მივიღებთ ხვალ, მაგრამ ყოველივე საჭიროს-კი მივიღებთ, ვინაიდან ამისათვის მიღებულია ზომები.

აგრეთვე საჭიროებს ლიანდაგის შეკეთება. 1910 წლიდან ეს არავის მიერ არ ყოფილა შეკეთებული. ჩვენ ვამთავრებთ პლეხანოვის პროსპექტის ხაზის შეკეთებას, რის შემდეგ შევუდგებით ვერის დაღმართზე ხაზის შეკეთებას.

ორი თვის განმავლობაში ტრამვაის მოძრაობას ჩვენ ავიყვანთ რევოლუციონურ დროის ნორმამდე, ომამდე არსებულ ნორმამდე მიღწევას-კი შევძლებთ საზღვარ გარეთიდან ნაწილების მიღების შემდეგ.

3 ერში გაყვანილი ხაზიც გაუვარგისდა. იგი გამოდგება კიდევ ერთი წელიწადი—მეტი ვერა. ჩვენ მიერ მიღებულია ზომები მის აღსადგენად.

ნამდვილი სამეურნეო აღრიცხვა იძლევა შემდეგ ციფრებს: თუ უარს ვიტყვით ტრამვაის კაპიტალურ რემონტზე და დავაჯერდებით მხოლოდ მიმდინარეთი, თუ ამას მივუმატებთ მუშების მომარაგებაზე და სხვა ხარჯებისთვის საჭირო ჯამს,—ტრამვაის ყოველდღიური ხარჯი მიაღწევს 23 მილიონ მანეთს. სხვანაირად რომ ვსთქვათ,—ყოველდღიური წმინდა შემოსავალი ტრამვაიდან შეადგენს 25 მილიონ მანეთს, რომლის დახარჯვაც შეიძლება სხვა სამეურნეო საჭიროებაზე.

ელექტრონის სადგურები.

ელექტრონის სადგურები ამ ჟამად სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ ჩვენამდეც ისინი გაფუჭებული და გაცვეთილები იყვნენ. ჩვენ დაუშვით დიდი შეცდომა: ძალიან გვიან მოვახდინეთ მათი ნაციონალიზაცია. სადგურების უმეტესი ნაწილი კერძო პირების ხელში იყო და მათი პატრონები ნაციონალიზაციის მოლოდინში სძარცვავდნენ თავის სადგურებს, ჰყიდდნენ მანქანის სხვა და სხვა ნაწილებს და სხვა.

სულ ძველი სადგურებია 17 3800 ცხენის ძალით. 1920 წელში ეს ძალა ნახევრამდე შემცირდა, ჩვენ დროს კი უფრო მეტად. იყო ჟამი, როდესაც მუშაობდა მხოლოდ 900 ძალა. დღეს მუშაობს 1400 ძალა. დღეს მაგალითად, გაჩერებულია სამი სადგური, რადგან საჭიროებენ შეკეთებას.

ამას გარდა არის მრავალი წვრილი სადგურები 20-25 ცხ. ძალით მოწყობილი ცალკე შენობათა განსანათებლად. ისინი ჩვენ არ გვემორჩილებიან.

ამ ჟამად მიღებულია ზომები ქალაქის განაპირა ნაწილებში ელექტრონის განათების მოსაწყობათ. ნაძალადევში უკვე სწარმოებს მუშაობა, სდგამენ ბოძებს, დიდუბეში მუშაობს მხოლოდ ერთი მანქანა, მეორე კი შეკეთებაშია, რომელიც ორი კვირის შემდეგ დასრულდება, ავლაბრის განათება ჩვენ განზრახული გვაქვს—სასაკლაოსთან არსებულ სადგურის ძალით—300 ათასი ცხ.

ელექტრიულ ენერგიის ფასი ძნელა აიწიოს. ჩვენ ავიყვანეთ იგი 1350 მ. კილოვატ საათზე. ეს მაქსიმალური ციფრია. ხოლო მუშებისა და მოსამსახურეთვის ეს ფასი შეადგენს 10 პროც.-ს.

აბანოები.

თბილისის აბანოები არასდროს სრულად არ აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, მით უმეტეს მათ არ შეეძლიათ ეს ეხლა. მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მათი სათანადო სიმაღლეზე დაყენება. მენშევიკების დროს ორთქლის აბანოები არ მუშაობდნენ, მოქმედებდნენ მხოლოდ გოგირდის აბანოები. ასევე იყო ზაფხულში.

ქალაქის რევკომმა ბრძანებაში წინადადება მისცა ორთქლის აბანოების მეპატრონეებს, რათა მათ აბანოები მოეწესრიგებინათ და აემუშავებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრებოდა აბანოების ჩამორთმევით და მათივე სახსრით მათი ამუშავებით. ეხლა თბილისის ყველა აბანოები მოქმედებენ. ჯერ კიდევ აგვისტოში ჩვენ გადავედით აბანოების ექსპლოატაციის სამეურნეო სისტემაზე. ყველა აბანოებიდან მთელი ყოველდღიური შემოსავალი უდრის 5 მილიონ მანეთს, ხარჯი 1 მილიონ მანეთს. ყველა აბანოების მუშაობის უნარი აყვანილია 4,000 კაცამდე დღეში, 1919 წელში კი იგი არ აღემატებოდა 3,000 კაცს.

მაგრამ აბანოებში კიდევ მაინც ემჩნევა გრძელი რიგები. ხდება ეს იმიტომ, რომ ყველა სცდილობს ნომრებში მოხვედრას, რომელიც ღირს 15 ათასი მანეთი, და ცოტა მსურველია საერთო აბანოებში საბანაოდ, სადაც გადასახადის ფასი უდრის მხოლოდ 1000 მანეთს. ამის გამო საერთო აბანოები ნახევრად ცარიელია.

სასაკლაო.

თბილისის სასაკლაო, ეს მთელი პატარა ქალაქი, რომელშიაც ჩვენ ყოველივეს მოვუწყობთ თავის რიგზე და უნდა გამოვტყდეთ, რომ კომუნალურმა განყოფილებამ მაზე ცოტა იმუშავა. სასაკლაოსთან არსებობს 4 პაის, უტილიზაციური, ყინულის დამზადებელი და სხვა ქარხნები. მაგრამ ზაფხულში, საქონლის მცირედათ დასაკლავის გამო, ყოველ ამ წარმოებებს ვერ შეეძლოთ მთელი თავის ძალღონით მუშაობა. ყინულის დამზადებელი ქარხანა, რომელიც ამზადებს ყოველდღიურად 300 ფუთს, არ მუშაობდა წყლის უქონლობის გამო. საპნის ქარხანას დღეში შეეძლო 60 ფ. საპნის მიცემა და მთელი დროის განმავლობაში კი გამოუშვა 300 ფუთამდე,—არ იყო საჭირო მასალა. სასაკლაოებიც ეგრეთვე თბილისიდან გადაყვანილ არიან სამეურნეო საფუძველზე. შემოსავალს ჯერჯერობით არ იძლევიან, მაგრამ თავის ხარჯს ინახავენ. საქონლის დახოცვის გადიდებასთან ეს სასაკლაოები მოგვცემენ დიდ შემოსავალს.

სასაკლაოების ელექტრონის სადგურს, როგორც მე უკვე ვსთქვი, გამოვიყენებთ მთელი ავლაბრის განსანათებლად.

გამშვენიერება.

პირველ რიგში—ქუჩების გამშვე-

იის სამარკველს მისცა მასალათ თავისი ძღვნები. ჯერ ორატორის სიტყვა არ გაეთავებინა, რომ მოისმა გულსაკლავი გოდება და მოთქმა, სულშემხუთველი წუთი დადგა, ეს იაკობის დედა მოეშურებოდა საყვარელ შვილის საფლავზე, აი, ისიც კიდეც უდროვოთ დაკარგული შვილი, დაემხო მიწაზე და სასოწარკვეთილი მწუხარებას ეძლეოდა, მთელი საზოგადოება ჟრუანტელმა მიიტანა.

ამხ. იაკობის დედის ცრემლებს მიემატა ცრემლის მთელი ნაკადული. ისროდა თოფებმა: ეს ახალგაზრდა კომუნისტები ფიცს სდებდნენ, არ ესმუყუნათ ამხ. იაკობისთვის და უკანასკნელი სისხლის წვეთით შეეწირათ გლეხთა და მუშათა დიქტატურის დასამკვიდრებლათ. უკანასკნელათ გაისმა ჟღერა და საზოგადოების მიერ თქმული: „თქვენ მსხვერპლათ შეეწირეთ"... და ხალხი გაემართა მეორე გმირის ამხ. გ. შანიაზაროვის სასაფლაოზე, აქ—სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მ. ურიგაშვილმა. მან მოიგონა ამხ. გეურქას სიტყვები დახვრეტის წინ: „მე ვკვდები, მაგრამ ღრმათ მრწამს რომ სოციალისტურ რევოლიუციას ჯალათები ვერ ჩააქრობენ", განმარტა, რომ ის დიდი დღე, რომლისთვისაც იბრძოდა და თავი დადო ამხ. გეურქამ, უკვე დაუდგა საქართველოსაც, მხოლოთ ძალით კაპიტალისტური სამეფოების ღობეები უკვე იმსხვრევიან ყველა ქვეყნის პროლეტარების ჩაქუჩთა ქვეშ, კიდევ გაისმა თოფების „ზალპი" და სრული წესრიგით ხალხი დაიშალა.

საღამოთი დაბალ დაწყებითი სასწავლებელში, სადაც ამ დღისთვის მოეწყობილი იყო სცენა, მასწ. გაბრილაძის და ჩიტო ქურთიშვილის მეთაურობით გამართა წარმოდგენა-კონცერტი. ბავშვებმა დიდი დაკვირვებით შესრულეს საბავშვო პიესა ამ დღისთვის დაწერილი მასწავლებელ გოჩიჩილაძის მიერ; შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ნიკა ურიგაშვილმა. ეროვნული ტანსაცმელში გამოწყობილმა ბავშვებმა რიგ მომღერალთა გუნდმა, რომელიც შესდგება მარტო მუშებისაგან და ეგერ სამი წელიწადია ვარჯიშობს ჩ. ქურთიშვილის ლოტბარობით, მუსიკალურათ და მწყობრათ შესრულა ინტერნაციონალი და მრავალი სიმღერები. ვინაიდან დიდძალმა საზოგადოებამ შეიკრიბა თავი წარმოდგენა—კონცერტის მოსასმენათ, სასწავლებლის შენობის სივიწროვის გამო, ნახევარი ნაწილი მსურველებისა დარჩა დაუკავებელი ადგილებით, საზოგადოების თხოვნით ამავე შინაარსით დაიდგა კონცერტი წარმოდგენა 8 ნოემბერსაც.

ბ. შ.

სიღნაღი

ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის დღესასწაულმა, როგორც ქალაქ სიღნაღში, აგრეთვე მთელ მაზრაში, შესამჩნევათ ჩაიარა. ამ დღის აღსანიშნავათ ქალ. სიღნაღში დაიდგა საუცხოო ტრიბუნა, რომელსაც ორივე მხრით ამშვენებენ ამხ. ლენინის და შაუმიანის ძეგლები. ბევრი სოფლების სახელები, რომელნიც წარმოადგენდნენ ძველი წყობილების ნაშთს, შეიცვალნენ ახლებით. გლეხობა ამ დღეს დიდათ აღტაცებული იყო, მათ ნაბაძულ სახეებზე იხატებოდა სრული ნდობა და სიყვარული საბჭოთა ხელისუფლებისადმი. სხვა და სხვა სოფლების მიტინგებზე ჩვენს მტრებს დასცეს გულში ლახვარი და ნათლათ აღიარეს, რომ იბრძოლებენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე და არ დაუშვებენ ძირს ხელში აღებულ წითელ დროშას. არ გასტეხენ ოქტომბრის ფიცს და არ გასწყვეტენ ძმურ კავშირს მუშებთან. ყველა რაიონებში და ზოგ სოფლებში, მიტინგები და პროცესიები მოეწყო. ახლო მდებარე სოფლების გლეხობა სიღნაღში ჩამოვიდა. სიღნაღს არ ახსოვს იმდენი ხალხის დასწრება რაიმე დღესასწაულზე, მთელი ზემო ოლქვანი და ტროტუარების გაშვებო ადგილები ხალხით გაჭედილი იყო. მიტინგი გაიხსნა დილის 10 საათზე, მიტინგს ხსნის და მისალმების სიტყვას ამბობს ამხ. თათიშვილი, შემდეგ ლაპარაკობენ: ფციაური, ბალთაშვილი, კოოპ. კავშირის წარმომადგენელი პაპავა და პროფკავშირიდან [illegible], ხალხში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია მათმა სიტყვებმა. მიტინგი დამთავრდა საღამოს 1 საათზე და ორ პროცესიათ გაყოფილი მბრძოლები გაემართნენ [illegible] ნაწილი აბაგისკენ და მეორე [illegible].

ქ. მ.

—

ვანის რაიონი.

პროლეტარული რევოლიუციის 4 წ. თავის აღსანიშნავათ, დაბა ვანში გამართა საზეიმო მიტინგი ვანის და დიხაშხოს თემის მცხოვრებთა. მთელი დაბა, დაწესებულებები და ტრიბუნა შემკულია პლაკატებით, მწვანე ხეებით, ვარდ ყვავილებით და დროშა-სურათებით. წესრიგს იცავს კომ. რაზმი და მილიციის ორკესტრი მუსიკას—„ინტერნაციონალს" ასრულებს მგალობლები. პირველ სიტყვას ამ დღის აღნიშვნელობაზე ამბობს ამხ. ე. ძაგნიძე—კომიჩეკის სახელით, პროფკავშირთა სეკრეტარიატის სახელით, კ. ხიკოლეიშვილი, ახალგაზრდა კომკავშირის სახელით—ამხ. გ. ძიგრაშვილი, ქალთა წრიდან ამხ. დ. ჩახნაშვილი, უპარტიოთა წრიდან: ი. ცისხი და ფ. ბერაძე, კომპარტიის კანდიდატების სახელით ბ. გოგორიშვილი და ბოლოს დღე ასწეულის მნიშვნელობას არკვევს, რაირევკომის სახელით.—ამხ. თოხაძე [illegible]. ლაპარაკობენ აგრეთვე სოც.-ფედ. სახელით დათიკო ლორთქიფანიძე და ძიგვაშვილი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ მოხდა ყრილობა. კომრაზმის მიმართ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ი. ვაშაყმაძემ, მან მოიგონა წარსული რევოლიუციის ეპიზოდები, რევოლიუციის გმირები რის შემდეგაც ზეიმი დამთავრდა. 4 წ. თავის აღსანიშნავათ ვანის თემში დაარსდა ორი სამკითხველო.

—

ამაღლების თემი. მშვენივრათ ვარდ-ყვავილებით და დროშებით მორთულ ს. ამაღლებაში (ვანის რაიონში) იხსნება საზეიმო მიტინგი—სიტყვას ამბობენ—ამხ. შელაშვილი, ი. [illegible] და ი. კვარაია,—ახალგ. კომკავშირის სახელით, დღესასწაულში [illegible] ღობეზე მთელი აღფრთოვანებული მასსა, ზეიმი დიდებულათ ჩატარდა და ნასიამოვნები ხალხიც დაიშალა.

დვალიშვილების თემი. დიდი მზადება იყო რევ. 4 წ. თავის აღსანიშნავათ—ამ დღის აღსანიშნავათ გაიხსნა ერთი სამკითხველო, მორთულია ტრიბუნა და დაწესებულებები მთელი მშრომელი ხალხი ზეიმობს. საზეიმო მიტინგი გახსნა ლ. ძაგნიძემ—სიტყვა წარმოთქვეს ამხ. ვ. თადუმაძემ, ვანის რაირევკომის სახელით—კომიჩეკის სახელით ამხ. ი. ჩოხუამ და უპარტიო გლეხმა ვ. დვალიშვილმა. მიტინგი დაიხურა და ზეიმიც საუცხოოთ ჩატარდა—მასსა აღფრთოვანებული დაიშალა.

—

უხუთის თემი. (ვანის რაიონი) ამ თავე მიტინგი გაიმართა უხუთის თემში—სადაც შეკრებილი იყო მთელი ხალხი, იქ დიდის მნიშვნელობაზე სიტყვები წარმოთქვეს ამხ. ს. ჩოხუამ, ვ. თადუმაძემ და ს. კალანდაძემ.

გ. ხულორდავა.

წარმოებითი პროფკავშირებში

მეთამბაქოეთა კავშირში.

კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმის სხდომაზე მოისმინეს მოხსენება სრულიად რუსეთის მეთამბაქოეთა ყრილობის დელეგატის ამხ. ავეტიკოვისა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომლითაც წინადადება ეძლევათ კავშირის ყველა განყოფილებას, რათა სასტიკად იხელმძღვანელონ ახალ ეკონომიური პოლიტიკის ყველა ძირითადი დებულებებით. ს. ს. ფ. ს. მეთამბაქოეთა განყოფილებას წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ გადავიდეს ახალ წესზე, იმავე სხდომაზე გადაწყვეტილია ყველა თამბაქოს ქარხნებთან არსებულ პოლიტიკურ კომისართა ინსტიტუტის გაუქმება. პოლიტიკურ კომისართა და აგრეთვე საქარხნო კომიტეტების შორის პარალელიზმის და აგრეთვე ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადავლის გამო. ამხ. ავეტიკოვის წინადადებით პლენუმმა დაადგინა კავშირის ყოველგვარ შემოსავლიდან 5 პროც. გადება მოკავშირე არსებულ პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის სასარგებლოთ.

პარტიული ცხოვრება

პარტიის გაწმენდის შედეგები საქართველოში.

თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონში.

დათხოვნილი წევრთა სია.

1. აივაზოვი გევორკ სარქის ძე „[illegible]".
2. ლუკოვკინი სერგეი—როგორც მესაკუთრე.
3. სალუქვნოვი ტიმოთეს ძე, საკუთარი სურვილით.
4. ვოლკოვი ვასილი—პავლეს ძე სამსახურში დანაშაულობისთვის.
5. ვესელაშვილი ანნა ივანეს ასული, 6. ბუქიშვილი, 7. კოზლოვსკი ძარიანი—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
8. კოვალენკო კონსტანტინე ივანეს ძე, 9. ბოცვაძე ვასილ გიორგის ძე—ცუდი წარსულისთვის.
10. პაკლესიანი სტეფანე მათეს ძე—საკუთარი სურვილით.
11. ელიაცკი თევდორე ანდრიას ძე—[illegible] და სიბნელისთვის.
12. ხერსონოვი ალექსანდრე გიორგის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.

(კანდიდატი).

13. ხახაშვილი ივანე—თვითმომარაგებისა და ლოთობისთვის.
14. მუკენკო კარლ ფრიდრიხის ძე—ქურდობისა და სამსახურში დანაშაულობისთვის.
15. ხაკიტანი არშაკ მიხეილის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
16. ტუმანიანი ტიგრან არაქელის ძე—ვაჭრობისთვის.
17. აზარიანი გიორგი, 18. პოპოვი (ახალგ. კომკავშ. ყოფ. წევრი), 19. აპრესიანი ვანო მელქონის ძე, 20. ეგანიანი სტეფანე გრიგორის ძე,—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
21. პეტროსიანი [illegible] მარტიროსის ძე—დეზერტირობისთვის.
22. ბაბაჯანოვი ოგანეს—ცუდი წარსულისთვის.
23. ორუჯინოვი ვაგარშაკ ანაპრონის ძე, 24. ივანოვი ალექსანდრე დიმიტრის ძე, 25. ელინი იაკობ ვასილის ძე, 26. დარიაშვილი თამარა, 27. შახტუნიანი—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
28. [illegible] გაბრიელ გალუსტის ძე—ვაჭრობისთვის.
29. ივანოვი მიხეილ მოსეს ძე—საკუთარი სურვილით.
30. სარუხანოვი არტაშ, 31. ალოევი ონისიმე ნიკიფორის ძე ქურდობისთვის.
32. ზელინსკი—სამსახურში დანაშაულობისთვის.
33. პეტრენკო ალექსანდრე—ქურდობისთვის.
34. აგაევი აგა ნაირის ძე ცუდი წარსულისთვის.
35. ათანდილოვი ივანე სტეფანეს ძე—სპეკულიაციისთვის.
36. ბოროვსკი ვასილ პროკოფის ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
37. მაჭავარიანი სერგეი ივანეს ძე—ცუდი წარსულისთვის.
38. სადიკოვი ალი დული ოღლი ქურდობისთვის.
39. სამონიანცი ვასილი გრიგოლის ძე, 40. მაგულაძე ალექსანდრე პეტრეს ძე—პარტიულ მოვალეობათა აუსრულებლობისთვის.
41. დოლიძე ვასილი, 42 კორელსკი იგნატი—შკურნიკობისთვის.
43. ახვერდოვი ხაჩატური—ქურდობისთვის.
44. ტიჩინსკი ვიქტორ როსპის ძე, 45. შეჩენკო, 46. ტიმაევი ვასილ სოლომონის ძე ცუდი წარსულისთვის.
47. კუვიცკაია ლიდია ნიკიტას ასული 48 პაპავა გედეკია ბართლომეს ასული, 49. გრიგორიანცი ანანია აკოფის ძე—საკუთარი სურვილით.
50. გოგელიძე ნიკოლოზი, 51. მარგიშვილი პეტრე ქურდობისა და ლოთობისთვის.
52. ყირიმოვი ავაქი დეზერტირობისთვის.
53. ვოლფოვიჩი ეფრემ სპეკულიაციისთვის.

გადაყვანილია კანდიდატებათ:

1. კუჩელორია დომიდ ივანეს ძე, 2. ეპიმოვი ვლადიმერ ვლადიმერის ძე—ექვს-ექვსი თვით ა. წ. 21 ნოემბერს.

დატოვებულია გამორკვევამდე:

1. ასრიევი ასტვაცატურ ლაზარეს ძე.
2. ვახოვანელი.
3. მარტიროსიანი იაკანუში.
4. კარახელოვი ბეგლიარა.
5. მუზინოვი ომარი.
6. მარქაროვი ოგანესი.
7. პოპოვი პეტრე.
8. ხიდირბეგაშვილი ზაზარ ლეონის ძე.

დამტკიცებულია წევრებათ:

1. ხოჯაპარუპოვი გუკას—ალექსანდრეს ძე.
2. გიგაური ვლადიმერ ნიკოლოზის ძე.
3. სუვერნეკა ზინაიდა.
4. გობიაჩკვი ივანე ვასილის ძე.
5. კევორკიანი არტაშეს აბრამის ძე.
6. სიტნიკოვი კონსტანტინე ვასილის ძე.
7. თარხანოვი პავლე.
8. ვართანოვი მიხეილი.
9. მიკირტუმოვა მუმანიკა.
10. ხაჩატუროვი ნერსეს ეგორის ძე
11. სიდორობაძე ესტატე—გაფრთხილებით პარტიულ დისციპლინის აუსრულებლობისთვის.

კომისიის თავმჯდ. ო. ჩაკარევი.

მდივანი ქიქაძე.

პროვინციაში

ქუთაისი

1921 წლის 16 ოქტომბრისთვის სამკოშის ამხ. ბოკერიას ინიციატივით დისტანციაში იქნა გახსნილი „[illegible]", რომელსაც თვით ამ დაწესებულების თანამშრომელთა გარდა გამოცხადებინ ქუთაისის საგუბერნიო სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები.

[illegible] კარგი ამინდი ხელს უწყობდა დანიშნულ გეგმის წარმატებით ჩატარებას.

განზრახული იყო დისტანციის ეზოში ახლად მიღებული ხე-ტყის მასალა დაეხერხათ ფიცრებათ და შეესრულებინათ სხვა საქმეებიც.

ამხ. ქვარცხავას და პაპავას ხელმძღვანელობით თანამშრომლები შეუდგნენ საქმეს. თანამშრომლები არ ერიდებოდნენ შრომას და ერთგულად ეზიდებოდნენ ზოგი დიდ ხეს, ზოგი ფიცარს; სამი ავერ მოაგროვება [illegible] დიდ ბოძს, სხვას გადაჰქონდა მტვერი და სხვა. მომუშავეთა ერთი საერთო ყურადღება აპყრობს თავისი მუყაითობით ამხ. [illegible], რომელიც [illegible] ერთგულად ეზიდებოდა რელსებს და სხვა ტვირთს. ბოლოს დიდ ცნობიერების და ფიზიკურ მოთმინების უნარი იჩინა საგუბერნიო კომისარი ამხ. ბოლოგვი.

შრომის მოყვარეობით ეცილებოდნენ საქმეს აგრეთვე დისტანციის მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც შორის აღსანიშნავია ამხ. აბშილავა და [illegible].

საპატიოვროის მუშაობის შემდეგ მოვიდა მუსიკა, რომელმაც სიმხიარულე შეიტანა მუშაობაში.

მთელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ [illegible] მუშაკის [illegible] დისტანციის [illegible].

ამ ორ კვირეულში თანამშრომლებმა, [illegible] შეფასებით შესრულეს 1.200.000 მან. ღირებული მუშაობა.

ბოლნის-სამშვილდის საორგანიზაციო [illegible].

ნიერები. 1912 წლიდან თბილისში არავის არ უნახავს: მუშები, ტროტუარები და ქვაფენილების შემკეთებელნი. ჩვენ კი 4 თვის განმავლობაში გავაკეთეთ დიდი სამუშაოები. ტროტუარები (ასფალტისაგან და ქვა საკან გაკეთებული) მოგვარებული არიან: პლეხანოვის პროსპექტი მთელ სიგრძეზე, დაწყებული [illegible] ვორონცოვის მოედნიდან მუხრანამდე. მთელი რუსის ბაზარი, პუშკინის ქუჩა, საბჭოს ქუჩა, სოლოლაკი, მუხრანის ხიდიდან დაწყებული [illegible] ბაზრამდე, კირკეს ქუჩა და ვერის დაღმართი. უკვე შეუდგნენ სხვა სამუშაოს. „ვეროობათა" რიგით ჩვენ მოვახერხეთ ქვიშის, ღორღის და სხვა მასალების დამზადება შეეუტანის სამუშაოს ორი მესამედისათვის.

დიდი სამუშაო შესრულებული ტეხნიკური ქვეგანყოფილების მიერ. ჩვენ მიერ აშენებული თბილისში საუკეთესო თავლა 38 ცხენისათვის, ჩვენი კომუნალური ქარვასლა ამ ჟამად ითვლება სამაგალითოთ.

ქალაქს ყოველგან არა აქვს კანალიზაცია, რისთვისაც ასენიზაციურ ქარავანს ეძლევა დიდი მნიშვნელობა. ჩვენ დავაყენეთ ქარვანა სათანადო სიმაღლეზე, უზრუნველყავით ფურგონით, საკუთარი ძალებით დავამზადეთ 6 000 ფ. დატკეპნილი თივა.

ჩვენი მეორე სახარათ ჩვენ მოვახერხეთ შეკეთება: 45 სკოლისა, 10 ლაზარეთისა, 2 სამკითხველოსი, ყველა 12 კომისარიატების, 4 ბაღის (ნაწილობრივად), 4,000 საკანალიზაციო მილებისა და სხვ. ამის გარდა 3 თვეში წარმოებულია 1000-ზე მეტ შენობათა და სხვა 6 შენობის ტეხნიკური გასინჯვა. მუშაობა [illegible] შეუმჩნეველია, მაგრამ იგი სწარმოებდა ენერგიულად და გაკეთებულია ძალიან ბევრი. და ბოლოს ჩვენ გვიხდებოდა ზრუნვა მიცვალებულთა დასასაფლავებლათ. ამ ხნის განმავლობაში გაკეთებულია 500 მეტრ კუბი.

ბორანი.

პირველ ხანში ჩვენი ბორანი მტკვარზე ცუდათ მუშაობდა. ჩვენ იძულებული გავხდით იგი წლიურად იჯარით გაგვეცა 80 მილიონად.

სასწორები.

ჩვენს ხ-თ სასწორებს [illegible] მოედნებზე დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი იძლევიან წვრილ გლეხების ინტერესებს, რომელთაც ქალაქში მოაქვთ ნაწარმოები მცირე პარტიობით. კერძო ვაჭრები მათ ჩვეულებრივად აწონვის დროს ატყუებდნენ.

მომარაგების განყოფილება.

მომარაგების განყოფილება დაარსდა ივლისში. მომარაგების საქმე ყოველთვის ვერ გვაკმაყოფილებდა ჩვენ. მთელ ამ დროის განმავლობაში სულ შესყიდულია და უკვე მიღებულია საქონელი 500 მილიონ მანეთისა. შეკვეთილია 2 მილიარდისა, მეტ წილად უკვე გადახდილისა. გვიხდებოდა მანქანის ნაწილების და ტანსაცმლის შესყიდვაც კი.

შეშის დამზადება.

ჩვენ მოგვიხდა შეშის დამზადებაც. ამას ხელს უშლიდა ჯერ თავიდან სატყეო განყოფილება. „თქვენ არა გაქვთ უფლებაო", მაგრამ, როდესაც თვით სატყეო განყოფილებამ ვერაფერი ვერა გააკეთა რა, ჩვენ შევუდექით დამზადებას გვიან, მაგრამ მაინც მოვასწარით 300 კუბ. საჟენის დამზადება. დიდი დამზადებისათვის ჩვენ არა გვქონდა ფული—ქალაქს რევკომის ყველა განყოფილებებზე დღეში მოდის მხოლოდ 40 მილიონი.

საბინაო განყოფილება.

რა წამსაც მომხსენებელმა ახსენა—„საბინაო განყოფილება" ადგილებიდან გაისმა ხმა: „ოოოო, ოო".

— ჩვენ თვითონ არა ერთხელ ვამბობდით „ოოო"-ს,—უპასუხებს ამხ. გოგიტაშვილი. საბინაო საკითხში ჩვენ გადავატანეთ დიდი [illegible].

ეხლა ჩვენს განკარგულებაშია 200 საბჭოთა სახლი: ყოფილი ქალაქის შენობები, სასტუმროები და მუშათა სახლები. თუ ამას მივუმატებთ დაწესებულებათა მიერ დაკავებულ შენობებს—მივიღებთ 600 სახლამდე.

შემდეგში მომხსენებელი აღნიშნავს ქალაქის რევკომის ბრძანების დიდ აზრს ბინებზე დაწესების, ჩამორთმეულის სახლების მათი პატრონებზე გადასვლის შესახებ და სხვა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ იჯარის ფასის [illegible] შენობებზე მოვკრეფთ ჩვენ წლის ბოლომდე 12 მილიარდ მანეთს.

მომხსენებლის ცნობა შესახებ საბინაო განყოფილების ლიკვიდაციის იწვევს ტაშს.

ქალაქის მიწები.

ქალაქის ხაზი შეიცავს 3045 დესეტინას. მენშევიკები სცდილობდნენ ცხოვრებაში კურსკის კანონის გატარებას, რომლის თანახმად ქალაქის მიწების დიდი წილი 2 ჯერ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. უახლოეს დროში [illegible] გახსნილდება და დამტკიცება ქალაქის ახალ ხაზი.

საკუთარ ადგილების გარდა თბილისს აქვს 6—8 ათასამდე დესეტინა მიწა. აქედან სახნავი 1.500 დესეტინა, ამდენივე საძოვარი, 3,000 სათიბი, 5 დესეტინა ტყე და დანარჩენი—უვარგისი გორაკიანი ადგილები.

მიწები მოიჯარადრეების ხელში იყო. ჩვენ ვერ შევიძლეთ შეგვეტანა საადგილ-მამულო პოლიტიკაში გაბედული ცვლილება, ვინაიდან მიწის ხნულები დათესილი იყო. მაგრამ, სამაგიეროთ, სასურსათო გადასახადის დამტკიცებამდე რესპუბლიკის მაშტაბით ჩვენ გავატარეთ ჩვენი ნატურ-გადასახადი საქალაქო დებულების საფუძველზე: საიჯარო გადასახადს ვიღებდით ნატურით. ამნაირად ჩვენ მომარაგების სახალხო კომისარიატის საწყობებს ჩავაბარეთ 2000 ფ. მეტი პური, ქერი და სხვა სანოვაგე.

ეხლა ნაწილი მიწებისა ეძლევათ პროფკავშირებს, ნაწილი ჩვენვე დავამუშავეთ სამეურნეო საშუალებით და ნაწილსაც მივცემთ მოიჯარადრეებს.

ჩვენ გვაქვს 300 მეტი ხილის ბაღი რომელთაგანაც ბევრი მაღალ კულტურულია, თავის სარწყავებით, მაგრამ თბილისში მიწების უმეტესი ნაწილი არ ირწყვება და ეს ცემს ძალიან მის ღირებულებას. როდესაც შენდება ახალი წყალსადენი და მიწებიც მოირწყვება, მაშინ მათი შემოსავლიანობა ძალიან გადიდდება.

საბეითლო განყოფილება

საბეითლო ზედამხედველობა ქალაქში მოწყობილია უბნობრივ. ჩვენ გვაქვს ჩვენი სამჭედლოები ცხენების დასაჭედათ და სხვა დამხმარე წარმოებანი.

კონცესიები

ვეთანხმები რა ჩემს მოხსენებას, მე უნდა დავადასტურო—ამბობს მომხსენებელი,—რომ თბილისის საქალაქო მეურნეობა, ეჭვი არაა, ძლიერ ნებიერ გზაზე სდგას, გაუმჯობესება ეტყობა ყოველ დღე.

მაგრამ ჩვენ ვაყენებთ ჩვენს წინაშე ქალაქის მეურნეობიდან რაიმეს საკონცესიოთ გაცემის საკითხს. ჯერ-ჯერობით ამ ცხრივ რეალური არაფერი არა გვაქვს რა მაგრამ ამის შესაძლებლობა მოსალოდნელია.

ამხ. ვირაპის განცხადება

მოხსენების დასრულების შემდეგ ს. პ. კ. ს. პლენუმის თავმჯდომარე ამხ. ვირაპი აკეთებს შემდეგ განცხადებას ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის სახელით.

— როდესაც მომხსენებელმა გვამცნო კომუნალურ მეურნეობაში მის მიერ მოსახლეობისათვის წარმოებ ფასიან სამსახურში გადასვლის შესახებ, ჩვენ მივიდით იმ შეხედულებამდე, რომ ჩვენ ყველას, მათ რიცხვში მუშებსაც და მოსამსახურეებსაც, მხოლოდ ვახდენინებთ, ვახდევინებთ, ვახდენინებთ და მეტი არაფერი. ეს კი ასე არ არის, ფასიანი სამსახურის სისტემა სავსებით შეთანხმებულია ჩვენს საერთო პოლიტიკასთან. ყოველივე, რასაც გადავახდევინებთ მუშებსა და მოსამსახურეებს კომუნალურ მეურნეობის მიერ გაწეულ სამსახურის გამო, გათვალისწინებულია ახალ, ჩვენს მიერ დასამუშავებელ ტარიფით.

კამათი ამხ. გოგიტაშვილის მოხსენების შესახებ

კამათი ამხ. გოგიტაშვილის მოხსენების შესახებ გამოიხატა, როგორც ეს ეხლა ჩვეულებრივად მიღებულია, მსმენელთა შეკითხვების მიცემაში, რომლებზედაც მომხსენებელმა უპასუხა თავის საბოლოო სიტყვაში.

ერთმა ორატორმა საქვეყნოდ აღიარა სამეურნეო ანგარიშის სიწორე ტრამვაის ექსპლოატაციის დროს. თუ მთელი დღიური შემოსავალი უდრიდა 43 მილიონ მანეთს, მაშასადამე ტრამვაით მთელი დღის განმავლობაში უსარგებლნია სულ 9600 კაცს. 20 მომქმედ ვაგონზე იგი—თითოზე მოდის 500—რაც ძალიან ცოტაა. ძალიან ხშირად ტყუილად კი არა ვხედავთ ნახევრად ცარიელ ვაგონებს 5000 მანეთის გადახდა მანძილის მთელ ხაზზე მშრომელთა არ შეუძლიათ, იქნება შესაძლებელი იყოს სამოგზაურო ფასის დაწევა და ესეც მოგვცემდა 43 მილიონ მანეთს, მაგრამ უკვე მოგზაურთა უფრო მეტ რიცხვის დროს. წარმოებებში და უკან წაყვანის სისტემა მუშებისა—არაა დამაკმაყოფილებელი. არა დილით და საღამოთი—მუშები და მათი ოჯახები იძულებულნი არიან ფეხით გაიარონ დიდი მანძილი, რისგამოც სახელმწიფო უფრო მეტს კარგავს: შემდეგ ავადმყოფობაზე, ფეხსაცმელებზე, ტანსაცმელზე, რომელიც ფუჭდება წვიმისაგან და სხვა.

ქალაქის რევკომის თავმჯდომარის ამხ. გეგეჭკორის სიტყვა

როდესაც კომუნალური განყოფილება, დაყრდნობილი მუშათა ორგანიზაციებზე, თავის მუშაობის რამოდენიმე წლის განმავლობაში მტკიცედ დაამყარებს თავის პოლიტიკას—მაშინ მუშაობა ძნელი აღარ იქნება. ჩვენ კი აქამდის არ ვიცოდით მუშათა ორგანიზაციების აზრი ჩვენს მიერ მიღებულ კომუნალურ პოლიტიკის შესახებ იმ ფორმით მაინც, როგორც ეხლა გაიმართება.

ჩვენ არ გვქონდა აქამდის დამოკიდებულება მუშათა ორგანიზაციებთან.

აქ წამოიძახეს: ო-ო-ო, საბინაო საქმის [illegible] დროს. მეც გავიძახოდი ამ ო-ო-ო-ს, ვინაიდან საბინაო განყოფილება შეიქნა იმ საბინძურის ორმოთ, რომელიც ჩირქს სცხებდა ბევრ ნათელ ამხანაგებს, მათ რიცხვში კომუნისტებსაც.

ჩვენი საერთო სნეულება გამომდინარეობს იმ ორგანიზაციულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით ამ ჟამად. სახელმწიფოს ჯერ არ აქვს საერთო საქმიანი გეგმა, რომელზედაც ჩვენ შეგვეძლება, ჩვენი ნაქარგვის მოგვეყვანა.

ჩვენ, ცალკე ქალაქს, გვიხდება კომუნალურ მეურნეობაში ლავირებულობის სწორი გზის გამონახვა. და თუ ჩვენ მშვიდობიანად გამოვედით ამ ძნელ მდგომარეობიდან, ისიც მხოლოდ კომპარტიის თბილისის კომიტეტის წყალობით, რომელმაც დაგვაკავშირა ჩვენ პროფსაბჭოსთან ეკონომიურ საბჭოებთან [illegible] გზით. ჩვენ მხოლოდ ეხლა ვუდგებით სწორე გზაზე, ჩვენ გადავაყენეთ ჩვენი წარმოებანი სამეურნეო, კომერციულ საფუძველზე,—რასაკვირველია, არა მათ მოქმედების შეზღუდვით და ეს კეთდება სახელდობრ მუშათა კლასის ინტერესის მიხედვით. [illegible] ქალაქის მეურნეობა [illegible]. ჩვენ მოგვიხდება ჩვენი ხარჯთაღრიცხვის გადიდება 12 მილიარდ მანეთამდე და ეს ფულები ჩვენ უნდა ავიღოთ ჩვენი საკუთარ წარმოებებიდან.

აქამდის ჩვენს შორის არ იყო უშუალო კავშირი. დღეს გაუდევით პირველი ბოძი. უახლოეს დროში, როდესაც იქნება მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო, იგი შეიძლება უფრო მძლავრად და თანდათანობით კომუნალურ პოლიტიკის გატარებას.

ჩვენ კი ჯერ-ჯერობით გთხოვთ იყოთ ჩვენთან: თუ საჭიროა ჩვენი გამოთრევა შეცდომებისათვის—გაგვამათრახეთ, და თუ საჭიროა—შეგვეშველეთ მთელი ძალღონით".

ამხ. გეგეჭკორის სიტყვას ჰფარავს ტაში.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

საბოლოო სიტყვაში ამხ. გოგიტაშვილი უპასუხებს უმთავრესად კრების მონაწილეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს.

— ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა რას იძლევა: დეფიციტს თუ მოგებას?

— ძნელია დანამდვილებით მისი თქმა, ვინაიდან ყველა განყოფილებებში არაა ეს გამორკვეული. მაინც ჯერ-ჯერობით მთელ მეურნეობის მასშტაბით ჩვენ ზარალი გვაქვს. მაგრამ უახლოეს დროში იმედი გვაქვს ჩვენი ხარჯთაღრიცხვას უდეფიციტოდ წარმოებისა.

— რატომაა შეწყვეტილი მუშა-მოსამსახურეთათვის ტრამვაიზე უფასო აბონიმენტების გაცემა?

— ამნაირი ბილეთები გაიცა—20,000-მდე და აქედან არავითარი კარგი არა გამოვიდა რა. იყო შემთხვევა, როდესაც ეს ბილეთები იყიდებოდა [illegible] ბაზარზე. ჩვენ ეხლა მოვსპეთ ყველა ეს ბილეთები და აგრეთვე მუშების დილით და საღამობით გადაყვან-გადმოყვანა. ეხლა ბილეთები გაიცემა შეღავათიანი, ფოტოგრაფიული სურათებით ბოროტმოქმედებისაგან თავიდან ასაცილებლად.

— რატომ ფერხდება პროფსაბჭოს საბინაო კომისიისათვის ბინების გადაცემა?

— იმიტომ, რომ იყო შემთხვევები ორგანიზაციებისათვის გადაცემულ მთელ საკუთრების ბინების დალუქვისა, ეხლა ამ საქმეს ჩვენ ვეპყრობით განსაკუთრებულ სიფრთხილით.

დადგენილება.

პროფ საბჭოს პლენუმმა ამხ. გოგიტაშვილის მოხსენების შესახებ დაადგინა:

„კომუნალური განყოფილების მუშაობა ს ცნო დამაკმაყოფილებლად და მოხსენება ცნობად მიიღოს"

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 91.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა. მთავრობის აქტების ძალაში შესვლის წესის შესახებ.

1. მთავრობის აქტები, როგორიც მაგალითად დეკრეტი, დადგენილება, ბრძანება განკარგულება და სხვ., საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული, აგრეთვე [illegible] აქტები, ცალკე კომისარიატის მიერ გამოცემული, ძალაში შესულად ჩაითვლება დღიდან მათი „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბეში“ გამოქვეყნებისა, ხოლო ადგილობრივად დღიდან მიღებისა, შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის მოამბის იმ №-რისა სადაც დაბეჭდილია ზემოხსენებული აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალაში შესვლის დრო თვით აქტშია აღნიშნული.

2. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ხ. ქავთარაძე.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 103.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა. დებულება ფასების დამწესებელი კომიტეტის შესახებ.

1. ფასების დამწესებელი კომიტეტი არის ფასთა დაწესებულებისათვის უმაღლესი საუწყებათაშორისო ორგანო.

2. ფასების დამწესებელი კომიტეტი არსებობს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მოიხმარს მის აპარატებს; კომიტეტი შედგება: ფინანსთა კომისარიატისა (თავმჯდომარის თანაშემწეობისათვის), სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, სასურსათო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსი და ცენტრალური კავშირის თითო წარმომადგენელთაგან.

3. ფასების დამწესებელ კომიტეტს ევალება:

ა) დაწესება საბითუმო და საცალო ფასებისა ყოველ საქონელზე, რომელსაც გადასცემენ სახელმწიფო დაწესებულებანი და წარმოებანი ერთმანეთს, კოოპერაციას და მცხოვრებლებს;

ბ) განსაზღვრა სამონოპოლიო საქონლის ფასების დამატების რაოდენობის კოოპერაციის სასარგებლოდ პროდუქტების განაწილებით გამოწვეული ხარჯის ასანაზღაურებლად;

ვ) დაწესება შესასყიდი მტკიცე ფასებისა სახელმწიფოსათვის დასამზადებელ პროდუქტზე, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი მტკიცე ფასები გათვალისწინებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტით.

4. ფასების დამწესებელი კომიტეტის მიერ შემოღებული ფასები ძალაში შედის იმ ვადაზე, რომელსაც განსაზღვრავს კომიტეტი.

5. კომიტეტი ვალდებულია პერიოდულად განიხილოს ხოლმე ფასები და შემოიღოს, როგორც ყველა საქონლისათვის თანაბარი ცვლილება, გამოწვეული შესასყიდი ერთეულის ცვლილებით,—ისე ცვლილება ცალკე საქონლის ფასისათვის, რაც გამოწვეული იქნება წარმოებისა და ბაზრის პირობათა ცვალებადობით.

6. ფასების დამწესებელი კომიტეტის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სათანადო კომისარიატისა და ცენტრალური კავშირის მიერ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

7. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 102.

საქართველოს სოციალ. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა. სანავთსადგურო მილიციის დაარსების შესახებ.

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ნავთსადგურების ტერიტორიის დასაცავად სანავთსადგურო მილიცია.

2. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა დაევალოს მთავარი მილიციის უფროსს, საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

3. სანავთსადგურო მილიციის და მისი შტატის შესანახად საჭირო ხარჯების გაღება დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოსა და მთავარი მილიციის უფროსების წარდგენის თანახმად.

4. სანავთსადგურო მილიციის მოწყობა განხორციელებულ იქნეს ერთი კვირის განმავლობაში.

5. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე**

1921 წ. ნოემბრის 25.

ტფილისი—სასახლე.

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა დასჯა-გასწორების დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის დისციპლინარული სასჯელის დაწესების შესახებ

განსაკუთრებულ პირობათა გამო, რომელშიაც მოქმედობენ დასჯა-გასწორების დაწესებულებანი, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი,—რესპუბლიკის საქმეთა დაწესებულებების მოსამსახურეთათვის დისციპლინარულ და ადმინისტრატიულ სასჯელის და წესების შესახებ ამა წლის ივლისის 14 ს თარიღითა და 55 №-ით გამოცემული დეკრეტის დამატებად,—ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის 55-ს №-რის დეკრეტის მე-5 მუხლში აღნიშნულ სასჯელთა მაგიერ, დასჯა-გასწორების განყოფილების მოსამსახურეებს დაედებათ შემდეგი დისციპლინარული სასჯელი:

ა) საყვედური ბრძანებაში განცხადებით და გაზეთებში გამოქვეყნებით, ან უამისოდ:

ბ) რიგს გარეშე მორიგეობაზე დანიშვნა, ხოლო არა უმეტეს 7 მორიგეობისა, (ეს სასჯელი დაედება მხოლოდ იმ პირთ, რომელნიც სადარაჯო სამსახურს ეწევიან):

გ) დატუსაღება 4 დღემდე;

დ) დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა;

ე) თანამდებობიდან გადაყენება.

შენიშვნა: თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მოსამსახურის სამსახურ ნამოქმედარის ან დანაშაულის გამოძიების დროის განმავლობაში.

2. ზემოაღნიშნული სასჯელის დადების უფლება აქვს:

ა) დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების და მის ადგილობრივ განყოფილების მოსამსახურეებისათვის—ამ განყოფილებათა გამგეებისა, გარდა განყოფილების გამგის თანაშემწისა, აგრეთვე ადგილობრივ განყოფილებათა გამგეებისა და პოლიტიკურ კომისრებისა, რომელთაც 1 მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი დაედებათ იუსტიციის სახალხო კომისრის მიერ, დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების გამგის წარდგენით:

ბ) დასჯა გასწორების განყოფილების ქუთაისის და ბათომის განყოფილებათა მოსამსახურისათვის ამა განყოფილებათა გამგეებს, განყოფილებათა პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით.

ვ) დასამწყვდევ ადგილთა გამგეებისა, პოლიტიკურ კომისრებისა, კოლეგიათა წევრებს და საპატიმროების გამგეთა თანაშემწეებისათვის—დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების გამგე: ადგილობრივ განყოფილებათა გამგებს კი უფლება ეძლევათ, განყოფილებათა პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით, 1 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი დაადონ ზემოაღნიშნულ ყველა პირს, გარდა გამგისა, პოლიტიკური კომისრისა, აგრეთვე ქუთაისის და ბათომის გამგეობის სახლების კოლეგიის წევრებისა, რომელთა წინააღმდეგ ხსენებულ გამგეთ შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ 1 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი;

დ) დასამწყვდევი ადგილების ყველა სხვა მოსამსახურეებისათვის ამ დაწესებულებათა კოლეგიებს, დასამწყვდევ ადგილების გამგეებს კი უფლება ეძლევათ ამავე პირთ განუწესონ—პოლიტიკურ კომისართან შეთანხმებით 1 მუხ. „ა“ და „გ“ პუნქტში აღნიშნული სასჯელი და დაატუსაღონ ისინი 7 დღემდე.

3. ამა დადგენილებისამებრ დადებული დისციპლინარული სასჯელი სათანადო დაწესებულების მიერ უნდა შეტანილ იქმნეს განსაკუთრებულ დავთარში და აღინიშნოს მოსამსახურის პირად საქმეში.

4. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ხ. ქავთარაძე.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 26.

ტფილისი სასახლე.

დადგენილება № 105

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა—წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტის მოწყობის შესახებ.

რათა წესიერად დაყენებულ იქნეს წითელ-არმიელთა დახმარების საქმე და საუკეთესოდ გაიწიოს მზრუნველობა მათ ინტერესებზე,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. —მოეწყოს წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტი.

2. წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტს ევალება: ა) მეთვალყურეობა და კონტროლი საბჭოთა ორგანოების მოქმედებისათვის, რომელნიც უზრუნველობას უწევენ ნამდვილ სამსახურის და სადემობილიზაციო წითელ არმიელებს; ბ) უშუალო მეთვალყურეობა წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებისათვის იმ დაწესებულებაში, რომელიც მათთვის უზრუნველობას ეწევა და ყოველმხრივად ხელის შეწყობა იმ ადგილობრივ ორგანოთათვის, რომელთა მიერ მომარაგებულ უნდა იქნეს მათთვის ყოველგვარი კმაყოფა და უზრუნველყოფილი—კულტურულ-გასანათლებელი ხასიათის საჭიროებანი; გ) მოწყობა შემოწირულებათა მოგროვებისა ნივთებით, სურსათ სანოვაგის, ფულის ნიშნებით და სხვ; დ) მოწყობა საჭიროებელი ყაზარმებისა, სახელო ნიშნისა, სანატორიუმებისა, საკვები პუნქტებისა, საინვალიდო სახლებისა და სხ; ე) ინტერესის აღძვრა გარეშე მცხოვრებთა შორის წითელ არმიელთა საჭიროების მიმართ და მათი საქმეში ჩაბმა ჯანსაღ, ავადმყოფ და ინვალიდ წითელ არმიელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად უშუალო დახმარების აღმოჩენისათვის.

3. წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და მის მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი, და შემდეგ სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთაგან: სამხედრო და საზღვაოსი, ჯანმრთელობისა, სასურსათო, სოციალურ უზრუნველყოფისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა, აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლისა და საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ორი წარმომადგენლისაგან.

4. კომიტეტს უფლება ეძლევა შეავსოს თავის წარმომადგენლობა სხვა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებით.

5. კომიტეტის წევრებსა და იმ პირებს, ვინც რწმუნებულ იქნება კომიტეტისაგან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ ინახულონ ყოველი სანიტარო დაწესებულება, რომელიც ზრუნველობას უწევს ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელებს, აგრეთვე ყაზარმები და საინვალიდო სახლები. ყოველი შენიშვნა კომიტეტის წევრებისა და აღნიშნულ რწმუნებულების შენიშნულ დაუდევრობისა და უწესრიგობის შესახებ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვემდებარე პირისა და დაწესებულების მიერ.

6. კომიტეტს თავისი მიზნის მისაღწევად უფლება ეძლევა გახსნას ადგილობრივი განყოფილებანი და, სათანადო უწყებებთან ერთად, მოაწყოს საწყობები, დუქნები და სხვ. დაწესებულება, რომელსაც საჭიროდ დაინახავს.

7. კომიტეტი აწარმოებს საჭირო ნივთების და მასალების დამზადებას, როგორც საკუთარი მზრუნველობით, შეძენის საშუალებით, გაკეთებით და სხვ, ისე მომარაგების ორგანოების მეშვეობით, მათთანავე შეთანხმებით.

8. კომიტეტი იმყოფება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტთან.

9. აღრიცხვის და ანგარიშის შედგენისა და დამტკიცების წესს შეიმუშავებს თვით კომიტეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

10 კომიტეტის სახსარს შეადგენს ა) ის თანხები, რომელსაც გადასდებს საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი და ბ) ის თანხები, რომელსაც კომიტეტი მიიღებს ლექციებისა, კონცერტებისა და სხვა შემოსავლისაგან.

11) კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სრულიად რუსეთის წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტთან და თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს უკანასკნელის ინსტრუქციებსა და წესდებებს.

12. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.

საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებით დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტის და ნავთსადგურის მოქმედების დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ნავთსადგურის ტერიტორია და ნავთსადგურის წყლები—ყოველი ნაგებობით, რაც მათ ფარგლებშია, არის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის სამეურნეო და ადმინისტრატიულ გამგებლობაში, ხოლო ადგილობრივად სავაჭრო ნავთსადგურის უფროსის გამგებლობაში.

2. აკრძალულია ყოველგვარი ჩარევა რომელი უწყებისაც უნდა იყოს, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრატიულ და ტეხნიკურ-სამეურნეო მოქმედებაში.

3. მიცემა საწყობისა, სადგომისა ნაპირზე მიცურვის სარგებლობის უფლებისა და სხვა წარმოებს საზღვაო ტრანსპორტის უფროსის განკარგულებით უწყებათა განცხადებისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბიროში.

4. საზღვაო ტრანსპორტის მმართველობასთან, საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თავმჯდომარეობით, არსდება საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბირო შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: საზღვაო ტრანსპორტისა, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, უმაღლესი სახალხო სამეურნეო საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა და წყალთა ტრანსპორტის მუშათა კავშირისა.

5. სავაჭრო ნავთსადგურთა უფროსებთან, მათი თავმჯდომარეობით, მოეწყობა ნავთსადგურის საქმეთა სათათბირო იმავე უწყებათა წარმომადგენელთაგან და, ამის გარდა ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტის წარმომადგენლისაგან.

6. უფლება და კომპეტენცია საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა და ნავთსადგურის სადგურის სათათბიროებისა განისაზღვრება დებულებით, რომლის სათანადო ვადაზე შემუშავება დაევალება საზღვაო ტრანსპორტის მმართველობას;

7. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებიდან.

საქართველოს სოც საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე: **ბ. მდივანი.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი: **ალ ხალარიძე.**

1921 წელი ნოემბრის 18

თბილისი-სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—[illegible] კალოუბნის მოედანი. 3—58

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე-5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკა—რუსთაველის პრ. 23

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი, ორგბიურო და აბხაზეთის რევკომი და საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი აუწყებენ ამხანაგებს წითელ კომანდირის კომუნისტის

პავლე თარხანოვის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება 30 ნოემბერს დღის 3 საათზე ბინიდან—ლესელიძის ქ № 60.

ღრმად დამწუხრებული შვილები კოტე, ბიქტორ, ლ[illegible] და [illegible] დრო; ქალიშვილები: მატრონა, თამარი, მარო და ქეთინა; რძლები: [illegible]რუსკა და ფანია, შვილიშვილი: ვიკა [illegible] ძეები აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს მათი ს ძვირფასი

მაქსიმე ესეს ძე ცინცაძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ლანჩხუთში 29 ნოემბერს, დღის 2 საათზე.

მეოთხე რაიონის კომისია

წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ხუთშაბათს დილის 10 საათისათვის

ბერძენიშვილი შალვა, კიკალეიშვილი ოკრია, ნაზარეტიანი მარიამი, ოგაროდნიკოვი აბრამ, რუხაძე ნესტორ, ისაევი მარკელიტა, ნიტაბუხი ლევ, კალაძე ანეტა, ივანოვი ვასილი, ტერ მოვსესოვი პეტრუზა, ჩანაძე დავით, ცომაია პარმენ, ხოჯალამოვი სოლომონ, დანელია ვალოდია, ქარტოზია სიმონ, შენგელია არჩილ, ლუკოვკინი კონსტანტინე. გოლდმანი ილია, ნუცუბიძე აგნესა, ზოლოტოვა ფეკლა, დ გაბაშვილი გალუსტა, ლომჯანიძე სიმონ, ტოროსიანი არტემ, არაქელიანი სარქის, ავედიკოვი არმენაკ, მუადოვი ერვანდ, კრაპეტოვი დავით, ტყემალაძე ალექსანდრე, კურეგიანი საკო, სოკოლინსკაია ევგენია, ავეტისიანი ბალდასარ, დოგუროვი კონსტანტინე, ხომერიკი იაკობ, პაპოვი ივანე, ბიჩკოვი კონსტანტინე, პაპაიანი ივანე, კუკნაძე ნიკოლოზ, საკოვი ერვანდ, ინგიბაროვი ადამბეკ, ჩიხლაძე ალექსანდრე, ჯინჭარაძე აკაკი, დუპენსკი მიხაილ, დეენკა აკაკი, ბუდანოვი ივანე, ვასილიუკი ნიკოლოზ მანუკიანი არშაკ, ოსიპოვი არისტაკეს, ბაქრია მიხეილ, კიკალიძე ნეოფიტე, მაზანკიანი არამ, ჩითოკანიძე. ჩერენკოვი პავლე, [illegible]ურდული ვასილ, გამსახურდია-სავარიკოვი, მეძმარიაშვილი ალექსი, ბახტაძე ნიკოლოზ, ტაანენი, ხიტაროვი რაფი, ხუნდაძე გრიგოლ, ფირსოვი გრიგოლი, ივანიშვილი ვასილი ოსეპიანი აშხენ, მკრტიჩიანი არშაკ, ფონტრაუტი ალექსანდრე, კვანტალიანი ივანე, ოსიპოვი არშაკ, მირიმანოვი ბორის, აბაშიძე მიხეილ, ჯაპარიძე სერგეი, კოლოტოვ ვლადიმერ, მახალოვ ჩერილია, [illegible]ვანიძე, კეჩუაშვილი კონსტანტინე, მთვარელი მიხაილ, ბოგდანოვი ივანე, ცარმუტოვი ვარტან, პოზნანი ბოლესლავ, იოშაკიშვილი ალექსანდრე, კალანდაძე გიორგი, დოლაბერიძე გიორგი, მოშკევიჩი მოისეი, მენსაკი ვლადიმერ, ბარტყულაშვილი ფანია, ქილტოვი ეკატერინა, კილოსანიძე ვასილი, დოლობერიძე ამბერკი, გოგოლაძე ეპიფანე, შენგელია იონა, ნიკოლაევი ნიკოლოზ, დაგუნოვა ტატიანა, ტომინი მიხეილ, გუმბანი ანნა, კაჩაროვი პეტროს, ევგენკო ევგენ, აბრამოვი ავეტიკ, პეტროსიანცი ანნა, კაზიანი ტიგრან, გრიგოროვი ზამბეკ, ლარიაშვილი ლევან, ბერიშვილი დავით, კოლიახოვი მელანია, მამედოვი ეზიზ, მირზოევა ოლღა, მიკირტიჩიანი აბგარ, იკაპიანი ალექსანდრე, აფაქიძე ანდრეი, ზეინალოვი იბრაგიმ, ასრიევი ასტვაცატურ, აბას-ზადე ალესკერ, არუთინიანი მოსეს, არუტინოვი ოგანეზ, არუთინოვი ვაგან, ამირიანცი სარკის, ბრეგვაძე ივან, ცომაშვილი მიხეილ, ბოგდანოვი არუსია, ბიროუკოვი სიმონ, ბერუმნიშვილი მირან, ბერუმნიშვილი ივან, ბეჟაშვილი პეტრე, ბრეგვაძე ალექსანდრე, ბაბანოვი ოგანეზ, ბოლქვაძე სოკრატ, ვართაპეტიანი ლევონ. ვარდანოვი აბრამ, ჩეპკა გრიგორი. გოცირიძე ლუბა, გძელიშვილი სიმონ, გასპარიანცი ხაჩატურ, გადახაბაძე ალექსანდრე, დარბინიანი მათეოს, ზურაბაშვილი არშაკ. ზაქარია ალექსანდრე. წიკლაური გრიგოლი, ჩეპენოვი ივან, ჩერქეზიშვილი ალექსანდრე, ლომაია აკაკი, მარტიაშვილი ნინა, მუსიევა სოფიო, მიხნევიჩი ოლგა, მეკრეველიშვილი ქეთო, მერგენტალერი რეზალია, მიხულარია ხინა, მეცხიშვილი გიორგი, მაღრაძე ბენიამენ, მელაძე ალექსანდრე, მადერი ფრიცი, მკრტიჩიანი ალექსი, კალანდაძე კონსტანტინ, ნალბანდიანი არამ, ნასირ მამედ ალი, ოსიპოვი ვიქტორ, ორაგველიძე კარლ, პაპაძე სპირიდონ. პეტროსიანი ვანიუშა, პაპიანი აიკ, პარკოსაძე მიხაილ, რიდინა აიდა, სიხარულიძე ნესტორ, სამადაშვილი მიხაილ, სტეპანოვა მარია, სოხაძე პიმენ, სლავინსკი ანდრეი, სეპაკი ალექსანდრე, საზარაძე ივან, სადრაძე იოსები, საპოვნიკი საულ, საკიანი ნინა, სოხაძე მიხაილ, სუჯაშვილი ვლადიმერ, სუკიასოვა ზვაიდა, თვალჭრელიძე გიორგი, ტატოსოვი ხაჩატურ, ტერ-ოვანესოვა ოლგა, ტარაიანცი კარაპეტ, თოლაძე კალისტ, ტაშჯიანი ვალერიკ, თალაკვაძე ელდევსი, თოფურიძე ნიკოლოზ, ხაპოვინი ნინა ხახაშვილი ივან, ხუნდაძე გრიგოლი, მაკოევი ნიკოლოზ, ტედიევა ვ. იორდანიშვილი ივან, ტერ-პეტროსოვი არამ, შერმადინი ივანე, ენუქიძე ვლადიმირ, კორიატკოვი ნიკოლოზ, კუზნეცოვი ევგენი, კორინთელი ნესტორ, კირშენბლატი მიხეილი, კაკაბაძე ალექსანდრე, კორინშტეინი ნიკოლაი, შაჩოვი სერგეი, პიტერმან კონსტანცია, კობახიძე აკაკი, კალანდაძე ვენედიქტ, კონდრატოვი ალექსანდრე, კურდიანი თევდორე, კალანდაძე გიორგი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 4 მა დეკემბერს დილის 10 საათზე დანიშნულია საკომერციო ნაწილში (ვაგზლის ქუჩა № 1) იჯარით გაცემა ვაგონ რესტორანისა, რომელიც ივლის 1 დეკემბრიდან სასწრაფო მატარებლით ბათომ და ბაქოს შუა. განცხადებები მიიღება ყოველ დღე დილის 10 დან შუადღის 1 საათამდის. უკანასკნელი დრო განცხადების მიღებისა დილის 10 საათი 4 დეკემბრისა.

საკომერციო ნაწილის უფროსის მაგიერ ი. თუხარელი.

სამშაბათს 29 ნოემბერს

ხომხეთში საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადების პირველი წლის თავზე შეხდგება

კონცერტ-მიტინგი

მეორე სახელმწიფო თეატრის ზალაში (ყოფილი არტისტიული) დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

სიტყვებით გამოვლენ ამხ. კახიანი, ლუკაშინი, მრავიანი, ხუნხატიანი და სხვ. მოწვეულია წევრები რ. კ. პ. (ც. კ. კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ც. კ. და თბილისის კომიტეტის, საქართველოს და თბილისის კომიტეტის, საქართველოს და თბილისის რევკომების, პროფსაბჭოს, საბჭოთა მისიების და ყველა პარტიული წევრები და სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. შესვლა შეიძლება აგრეთვე უპარტიო მოქალაქეებისათვისაც.

ჟურნალი „ქურა“

ამ მოკლე ხანში გამოვა სალიტერატურო პროლეტარული ჟურნალი „ქურა“ იუმორისტული განყოფილებით.

მასალები უნდა გამოიგზავნოს პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობაში (ლორის მელიქოვის ქ. № 5.) სანდრო ეულის სახელზე.

პარტიული

— თბილისის მაზრის რევკომთან არსებული კომისია აცხადებს მოქ. ალექსი გოგოთურის საყურადღებოდ, (რომელიც რკინის გზის ყოფილი თანამშრომელია) რომ ის ვალდებულია გამოცხადდეს ამავე იაჩეიკის მდივანთან სამი დღის განმავლობაში ამხ. დონაძესთან, ამხ. ვერულამ მესხის შესახებ გამოგზავნილ ცნობების ახსნაგანმარტებისათვის.

თბ. მაზ. რევკომის კომიჩეიკის პასუხისმგებელი მდივანი: ვ. დონაძე.

— სამშაბათს, ა. წ. 29 ნოემბერს საღამოს 6 საათზე. მიხაკაიას სახელობის კლუბში (ოლღას ქუჩა 3). შესდგება მე-4 რაიონის წევრების და კანდიდატების კრება.

დღის წესრიგი;

1. საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2. რაიკომის ანგარიში.
3. არჩევნები რაიკომისა და დელეგატისა საერთო საქალაქო კონფერენციისათვის.
4. მიმდინარე საქმეები.

საბჭოთა

— ს. ს. სახალხო ბანკი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ის აწარმოებს ფულების გადაგზავნის ოპერაციებს რესპუბლიკის საზღვრებში, ყველა იმ ქალაქებში, სადაც არსებობენ ბანკის განყოფილებები.

ფულების გადაგზავნისათვის დაწესებულია შემდეგი ნიხრი:

კერძო პირებისათვის: 1) დეპეშით გადაგზავნისათვის—40 მანეთი ყოველ 1000 მანეთზე. დეპეშის ხარჯების მიმატებით.

2) ფოსტით გადაგზავნისათვის—20 მანეთი ყოველ 1000 მანეთზე.

ტირაჟი 10,000 [illegible] საქართველოს კომუნისტური პარტიის [illegible]